კომუნისტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „[illegible]“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

პარასკევი, 29 მაისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 121 (1276)

დღიური

- დაიხურა ბორის სუვორინის ორგანო „ვეჩერნეე ვრემია“, რომელიც პარიზში გამოდიოდა.
- ბათუმსა და სტამბოლს შუა მიმოსვლა დაიწყო გემი „ტობოლსკი“.
- ხარკოვში დაიწყო კონტრ-რევოლიუციონერი „სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის“ მეთაურთა საქმის გარჩევა.
- ამხ. სე აუკო კავკასიაში მოემგზავრება.
- საფრანგეთი მოითხოვს გერმანიის პოლიციის შემცირებას.

გერმანიის საგარეო პოლიტიკა

გერმანია ბოლო დროს საგარეო პოლიტიკის „ახალ გზების“ ძიებაშია. საკითხი ეხება გერმანიის მიერ ე. წ. საგარანტიო ხელშეკრულების დადებას „მოკავშირეებთან“ და მის შესვლას ერთა ლიგაში.

ამ საკითხზე გერმანიასა და ინგლის-საფრანგეთ შორის სწარმოებდა მოლაპარაკება ა. წ. პირველ თვეებში. გერმანიის მთავრობამ მაშინ წინადადება მისცა ანტანტას დადებული ყოფილიყო „საგარანტიო ხელშეკრულება“, რომლის მიხედვით გერმანია ნებაყოფლობით სცნობდა ვერსალის „ზავით“ დაწესებულ თავის დასავლეთის საზღვრებს. ამავე დროს იგი თანხმობას აცხადებდა შესულიყო ერთა ლიგაში, თ მას ამ „პატივცემულ“ დაწესებულების საბჭოში მისცემდენ ერთ ადგილს და მასზე არ გაავრცელებდენ მისი წესდების მე-16-ე მუხლს, რომელიც ავალდებულებს ერთა ლიგის ყოველ წევრსახელმწიფოს მონაწილეობა მიიღოს ერთა ლიგის საერთო ღონისძიებებში ამა თუ იმ სახელმწიფოს მიმართ.

ცხადია, თუ ხსენებულ მუხლს დაემორჩილება გერმანია, ანტანტა შეეცდება, როცა საჭიროდ და ხელსაყრელად დაინახავს, გამოიყენოს ეს ქვეყანა პირველ ყოვლისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გერმანიას კი სურს „არც მწვადი დასწვას და არც შამფური“, მას უნდა ანტანტის „გულის მოგებაც“ და ამავე დროს საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის შენარჩუნებაც. ესაა ორ სკამზე ჯდომის პოლიტიკა, რომელიც არ შეიძლება ბევრ ხანს გაგრძელდეს.

რამ გამოიწვია ეს „ახალი სიო“ გერმანიის პოლიტიკაში? როგორც ვიცით, გენუაში (1922 წ.) გერმანიამ აიღო კურსი საბჭოთა კავშირთან დაახლოვებისაკენ. მაშინ დადებულ იქნა რაპალოს ხელშეკრულება. იგი ნიშნავდა ბრძოლას ანტანტის, კერძოდ ერთა ლიგის წინააღმდეგ. ამავე დროს რაპალოს ხელშეკრულება ფართო პერსპექტივებს შლიდა გერმანია-საბჭოთა კავშირ შორის, ორივე მხარისათვის სასარგებლო ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენა-განვითარებისათვის.

მაგრამ შარშან მიღებულ იქნა დოუესის გეგმა. ამ გეგმით გათვალისწინებულმა უცხოეთის (ამერიკის) კრედიტებმა რამოდენიმედ წელში გამართეს (თუმცა დროებით) გერმანიის სახალხო მეურნეობა. გახსნილმა კრედიტებმა და ამერიკა-ინგლის-საფრანგეთის დაინტერესებამ გერმანიის „მშვიდობიანი“ ექსპლოატაციაში ფრთები შეასხეს გერმანელ კაპიტალისტებს და აღუძრეს იმედი ანტანტის ქვეყნებთან პოლიტიკურ-ეკონომიურ დაახლოების შესაძლებლობაში. აქედან აღმოცენდა გერმანიის საგარეო პოლიტიკის მისწრაფება შეუთანხმოს თავისი მუშაობა ანტანტის ზრახვებს და სურვილებს. საგარანტიო ხელშეკრულება, აგრეთვე მოლაპარაკება ერთა ლიგაში გერმანიის მიღების შესახებ ამ მიზანს ისახავს.

რა მნიშვნელობა აქვს ამ გეზმას საბჭოთა კავშირისათვის? თუმცა გერმანიის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელნი აცხადებენ, რომ რაპალოს ხელშეკრულება და აქედან გამომდინარე მოქმედების ხაზი ურყევიაო მაგრამ უეჭველია, რომ ეს არსებითად არის და იქნება მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გერმანია, როგორც ერთა ლიგის წევრი, ნებსით თუ უნებლიედ იძულებული გახდება შეასრულოს დასავლეთის იმპერიალიზმის საერთო პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ.

მაგრამ გერმანიის კაპიტალისტების ფხიზელ და საქმიან ნაწილს კარგად ესმის, რომ გარეშე საბჭოთა რესპუბლიკებთან ეკონომიურ თანამშრომლობისა გერმანიას არ შეუძლია თავი დააღწიოს იმ მდგომარეობას, რომელიც შექმნა ვერსალის „ზავმა“.

ჯერ ინგლისს და საფრანგეთს არ გაუციათ საბოლოო პასუხი გერმანიის წინადადებაზე. მათ შორის ამაზე სწარმოებს მოლაპარაკება. როგორც დღევანდელი დეპეშიდანაც გაიგებს მკითხველი, ინგლისმა და საფრანგეთმა ჯერ-ჯერობით ვერ მიაღწიეს შეთანხმებას საერთო პასუხის გამომუშავებაში. აქაც იჩინა თავი მათ შორის არსებულმა წინააღმდეგობამ.

როგორადაც უნდა გათავდეს დღეს საქმე, ცხადია, რომ ევროპის ეხლანდელი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა ბოლოს და ბოლოს აიძულებს გერმანიას ამოარჩიოს საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობა ანტანტის წინაშე მუცლით ხოხვას რომელსაც მისთვის ყოველმხრივი და საბოლოო დამონება მოაქვს.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის გაძლიერება ბიუჯეტის წესით

ჩვენი სასოფლო-მეურნეობისათვის კრედიტის მიწოდების საკითხი უაღრესი მნიშვნელობისაა.

მოთხოვნილება კრედიტისა ჩვენს სოფლის მეურნეობას დიდი აქვს; ხოლო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის რესურსები მეტად განსაზღვრულია და ვერ აკმაყოფილებს კრედიტის მოთხოვნილების ერთ მეათედსაც კი.

1924—25 საოპერაციო წლისთვის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ მიწათმოქმედების კომისარიატისა და წარმოკავშირთან შეთანხმებით გამომუშავებულ იქნა გეგმა, რომლის მიხედვით კრედიტის საჭიროება მიმდინარე წელში გამოიხატებოდა 18,5,0 ათ. მანეთში.

მაგრამ საერთოდ ფინანსიური კრიზისა და თანხების სიმცირის გამო სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დაახლოვებით 2 მილიონი მანეთის მეტი კრედიტი ვერ მიიღო. თვით ბანკის (საქართველოს სას.-სამ. ბანკის) ძირითადი თანხა, რომელიც მას გადაეცა ყოფილ სახალხო ბანკის თანხებიდან, განისაზღვრებოდა — 1.400.000 მანეთით. აქედან, ბანკის ცნობებით, ნახევარზე მეტი ირიცხება სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებზე ვადაგა[illegible]ული და ძნელად გასანაღდებელი კრედიტის სახით. რეალურად კი ბანკის ძირითადი თანხის რაოდენობა გამოიხატება 600—700 ათ. მან. ამ თანხიდან 350.000 მან. ბანკს ჩადებული აქვს საკრედიტო ამხანაგობების ძირითადი კაპიტალის გასაძლიერებლად. დარჩა 300—350 ათ. მან. აი ეს არის ის ძირითადი კაპიტალი, რომელიც იმყოფება ბანკის განკარგულებაში.

როგორც ბანკის ბალანსიდან (ა/წ. 1 მაისისათვის) ირკვევა, ის უმთავრესად სხვისი თანხებით მუშაობს. ამ თანხებს შორის პირველი ადგილი უკავია ა/კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან მიღებულ სესხს. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკი ერთ თავის საყურადღებო მოხსენებაში სწერს: „რაც შეეხება ა/კ. სას. სამ. ბანკიდან 2.000.000 მანეთამდე ლიმიტის მიხედვით სესხის სახით მიწოდებულ კრედიტებს, ამ თანხებზე თვით საქართველოს ბანკის სარგებელი განსაზღვრულია ნახევ.—1 ნახ პროცენტ.-მდე წლიურად, რაც ზოგჯერ არ ფარავს ბანკის სალერბო და სხვა ხარჯებს, ასე რომ ეს კრედიტები არამც თუ მოგებას, არამედ უფრო ზარალს უქადის საქართველოს ბანკს“.

რაც შეეხება ანაბარებს, 1 მაისისათვის ბანკს ჰქონია 776 ათ. მანეთი. აქ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეფის დროს და მომავალშიც უსათუოდ უნდა ექნეს საანაბარო ოპერაციებს. ბანკმა და საკრედიტო დაწესებულებებმა უნდა მიიზიდონ მოსახლეობის დროებით თავისუფალი თანხები და ამის საშუალებით გააძლიერონ თავისი საკრედიტო ოპერაციები.

სამწუხაროდ ჩვენს ეკონომიურ პირობებში საანაბარო ოპერაციების გაძლიერებას მრავალი დაბრკოლება ეღობება წინ: უმთავრესი დაბრკოლებაა თავისუფალი ფულის უქონლობა. ამავე დროს მას შემდეგ, რაც სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებებში მოსახლეობამ დაკარგა ძველი ანაბარები, ის (მოსახლეობა) ჯერ კიდევ დაშინებულია და ვერ ბედავს თავისი დროებით თავისუფალი მცირე თანხის საკრედიტო დაწესებულებებში შეტანას, თუმცა ის ახლა სავსებით უზრუნველყოფილია. ამიტომ ანაბარების საით მაინც და მაინც დიდი თანხის მოზიდვას ბანკებმა პირველ ხანებში ვერ შესძლებს.

როგორც დავინახეთ, სასოფლო-სამეურნეო ბანკის ფინანსიური საფუძველი ჯერ სუსტია. მისი ძირითადი კაპიტალი მცირეა. ამავე დროს ბანკმა მომავალშიაც უნდა განაგრძოს საკრედიტო ამხანაგობებისათვის თანხების მიწოდება, რადგანაც გარედან ანაბარების სახით თანხის მიზიდვა, როგორც ვთქვით, ჯერ გაძნელებულია; ბანკმა მომავალში უნდა აწარმოვოს მხოლოდ მიზნობრივი სესხის გაცემა, ეს კი მის საორგანიზაციო ხარჯებსაც ვერ ფარავს. ასეთ გაძოუვალ მდგომარეობაშია ჩვენი სასოფლო-სამეურნეო კრედიტი.

ამიტომ საჭიროა სახელმწიფომ თავისი საშუალებებიდან გადასდოს განსაზღვრული თანხა რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკის ძირითადი კაპიტალის გასაძლიერებლად. პრინციპიალურად ეს საკითხი დავას არ იწვევს.

ა. წ. აპრილში ა/კ. საბჭოთა მესამე ყრილობამ უდიდესი ყურადღება მიაქცია სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საკითხს და სხვათა შორის დაადგინა: „საჭიროა ბიუჯეტის წესით სახელმწიფო თანხების გადადება ა/კ. და რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკების ძირითადი თანხის გასაძლიერებლად“-ო.

ასეთივე დადგენილება გამოიტანა ა/წ. 7 აპრილში მოსკოვში მოხდარმა სასოფლო-სამეურნეო დარგში მომუშავეთა ფინანსიურმა თათბირმა.

ამ ჟამად საჭიროა კონკრეტიული ნაბიჯების გადადგმა და რესპუბლიკანურ ბიუჯეტში შეტანა განსაზღვრული თანხისა. ჩემის აზრით 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ბიუჯეტში შეტანილ უნდა იქნას 300 ათ. მან. რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკის ძირითადი კაპიტალის გასაძლიერებლად.

ამ გზით შეიძლება ბანკს მიეცეს მკვიდრი ფინანსიური საფუძველი და გაუმჯობესდეს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მიწოდების საქმე.

ა. ს—უა.

ჩვენი ბამბის მწარმოებელთა მოთხოვნილება*)

ჩვენი სოფლის მეურნეობის აღდგენა შეუძლებელია კოოპერაციის გარეშე; ყოველგვარ აგრიკულტურულ ღონისძიებათა გატარება შესაძლებელია მხოლოდ ამა თუ იმ დარგის მწარმოებელი გლეხობის კოოპერატიულათ დაკავშირებით. ეს აზრი უკვე განმტკიცდა ჩვენში და უკანასკნელ წლებში კიდეც დაწყებულია მუშაობა ამ მიმართულებით, უკვე არსებობენ კოოპერატიული ამხანაგობები მევენახეობა-მეღვინეობაში, მეთამბაქოობაში, მერძეობაში, მეცხვარეობაში, მეფუტკრეობაში და სხვა.

გასულ წელში ჩვენში დაარსდენ მებამბეთა ამხანაგობებიც, რომლებსაც ხელმძღვანელობას უწევდა და უწევს წარმოკავშირი. შარშან ამ ამხანაგობებმა დასთესეს ბამბით 1425 დესეტინა და მოსავალი 53000 ფუთამდე, კურკისაგან გაწმენდილი ჩააბარეს მებამბეობის კომიტეტს. ყარაიაზის რაიონში ამ საქმეს აწარმოებდა ცეკავშირი და მის განკარგულებაშივე იყო იქაური ბამბის საწმენდი ქარხანაც. წარმოკავშირს კი ბორჩალოში ჰქონდა იჯარით აღებული ბამბის ქარხანა. წლის ორივე ეს ქარხნები წარმოკავშირის ხელში უნდა ყოფილიყვენ, რადგანაც მთელ საქართველოში ბამბის თესვა და მოსავალის აკრეფა სწარმოებს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საშუალებით.

მებამბეობა ჩვენში თუმცა მეურნეობის მთავარ დარგს არ წარმოადგენდა, მაგრამ უძველეს დროიდა არსებობდა და მხოლოდ საერთაშორისო ომის დროს ჩაისპო და განადგურდა იგი სრულებით. მოკლედ 1923 წელში მებამბეობის კომიტეტმა დასთესა 300 დესეტინა, მაგრამ მოსავალი მეტად მცირე იყო. 1924 წელში, როდესაც ეს საქმე გადაეცა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, მან 1425 დესეტინის დამუშავება შესძლო და მოსავალიც შედარებით საკმაოთ დიდი მიიღო (მარტო წარმოკავშირმა—5.300 ფუთამდე). წელს კი ნათესების სივრცე კიდევ უფრო გაიზარდა და აღწევს 6000 დესეტინას, საიდანაც მოსალოდნელია 200000 ფუთზე მეტი მოსავალი.

თუმცა ხედლი ბამბის ფასები გასულ წელში შედარებით მცირე იყო, მაგრამ რადგანაც კოოპერაცია ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტს გაწმენდილ ბამბას აბარებდა, ამიტომ გლეხობამ შედარებით უკეთესი ფასი მიიღო. წელსაც გლეხობა ხალისიანათ ჰკიდებდა ამ საქმეს ხელს, რაც თავდები იყო ამ კულტურის გავრცელება-გაფართოების, მაგრამ თუ ზევით დასახელებული ქარხნები სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განკარგულებაში არ იქნა, მოსალოდნელია ამ ხალისის განელება, გულის აცრუება გლეხობის მიერ ამ მეურნეობაზე. გლეხობა გაუწმენდავ ბამბაში ვერ მიიღებს თავის შრომის საკმაო საფასურს და, რასაკვირველია, მომავალი წლისათვის ის თავს მიანებებს მებამბეობას.

მებამბე გლეხობა კიდეც ითვალისწინებს ამ გარემოებას და მრავალ ოქმებს და განცხადებებს უგზავნის მთავრობის დაწესებულებებს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრს, რათა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განკარგულებაში დარჩეს ზევით დასახელებული ქარხნები და მხოლოდ იქ გაწმენდილი ბამბა ჩაიბაროს მებამბეობის კომიტეტმა.

შეიძლება იკითხოთ, რათ არ თანხმდება მებამბეობის კომიტეტი გაწმენდილი ბამბის მიღებას? საქმე იმაშია, რომ გაწმენდილ ბამბაში გლეხობა ფუთზე ერთი მანეთით მეტს იღებს, ვიდრე გაუწმენდავში. ეს ნათლად სჩანს შემდეგი ანგარიშიდან: 3 ფუთი და 15 გირვანქა კურკიანი ბამბიდან გამოდის 1 ფუთი გაწმენდილი ბამბა. შარშანდელი ფასების მიხედვით, ეგრეთ წოდებული პირველი ნორმალური ხარისხის გაუწმენდავი ბამბა ღირდა 5 მანეთი. ფუთი გაწმენდილი ბამბა გამოდის, რომ ეღირება 16 მან. 87 ნახ. კაპ., ამას დაუმატოთ გაწმენდა, დახარისხება და მიტანა მოსკოვში, რაც დაჯდება არა უმეტეს 3 მანეთისა. მაშასადამე სულ 1 ფუთი გაწმენდილი ბამბა ეღირება 19 მანეთი 87 ნახ. კაპ. მაგრამ ბამბის გაწმენდა იმ ორგანიზაციას, რომელიც წმენდას ახდენს, უტოვებს ერთ ფუთ (3 ფუთი გაუწმენდავში) გაწმენდილ ბამბაში 2 ფუთ და 14 გირვანქა თესლს, რომლის ღირებულებას 1 მან. 62 კაპ. უნდა დაუმატოთ ლინტერის (ნარჩენი) ღირებულება 12 კაპ. მაშასადამე გაწმენდილ ერთი ფუთი ბამბის ღირებულებას 19 მან. 87 ნახ. კაპ. უნდა გამოვაკლოთ 1 მან. 74 კ. დარჩება 18 მანეთი 13 ნახ. კაპ. ეს იქნება ფუთი ბამბის თვითღირებულება ფრანკო-ქარხანა მოსკოვში.

ნამდვილათ კი მოსკოვში ბამბა ღირს 21 მანეთი და 50 კაპ. განსხვავება 3 მანეთზე მეტია და აი სწორედ ამ ღირებულების, ამ განსხვავების დაკარგვა არ უნდა ჩვენ გლეხს. და ამ ღირებულებას გლეხი მიიღებს, თუ მებამბეობის კომიტეტი გლეხობის კოოპერატიული ამხანაგობებიდან მიიღებს გაწმენდილ ბამბას. გაწმენდილ ბამბაში გლეხი თითქმის თვითეულ ფუთზე მანეთით მეტს მიიღებს; გლეხის მეურნეობაში თვითეულ მანეთს დიდი მნიშვნელობა აქვს.

მთავრობის სათანადო ორგანოები უნდა შეეცადონ, რომ ეს ზედმეტი მანეთი გლეხს არ დაეკარგოს. ამით ბევრს მოიგებს გლეხობაც, მისი კოოპერატიული ამხანაგობებიც და თვით [illegible] მეურნეობაც. ბამბის საწმენდი ქარხნები თუ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელში იქნენ, გლეხობა უფრო დაინტერესდება ბამბის ნათესების სივრცის და მოსავალის გადიდებაში.

ველითელი.

---

*) საკითხის გარჩევის წესი.

რედ.

„ინგლისში დაარსდა საბჭოთა კავშირთან შერიგების საზოგადოება“

იაპონიის ელჩი ივნისის შუა რიცხვებში ჩამოვა მოსკოვში

ინგლის-საფრანგეთს შორის დიდ უთანხმოებას აქვს ადგილი საგარანტიო ხელშეკრულების საკითხში

საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი შეშინებულია მაროკოში მდგომარეობის გართულების გამო.—საფრანგეთის კომუნისტები მოუწოდებენ ფრანგ ჯარისკაცებს მაროკოში დაჰყარონ იარაღი.—ავსტრალიამ (ინგლისის ახალშენია) ლონდონში ელჩი დანიშნა.—სოფიაში საჯაროდ ჩამოახრჩვეს სამი რევოლიუციონერი, რომლებსაც სამხედრო ტაძრის აფეთქება ბრალდებოდათ.

ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

ჩემბერლენი ფრონტს იცვლის

ლონდონი. 27 მაისი. პასუხი გასცა რა თემთა პალატაში მთელ რიგ შეკითხვებზე, რომლებიც გულისხმობენ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებას, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ შემცდარია აზრი, თითქოს ინგლისის მთავრობას არ სურს განაახლოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან. ინგლისის მთავრობა მზათ არის განიხილოს საბჭოთა მთავრობის ყოველგვარი წინადადება ამ მიმართულებით, მაგრამ ის პირველი არ წამოაყენებს ასეთ წინადადებას.

შემდეგ ჩემბერლენმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობას არ გადაუდგამს არავითარი ნაბიჯები იმ მიმართულებით, რომ ეცალა თავისი ვალები. ჩემბერლენმა დაუმატა, რომ როგორც კი წამოაყენებს საბჭოთა მთავრობა ისეთ წინადადებას, რომელიც მისაღები იქნება ინგლისის მთავრობისათვის, როგორც საფუძველი შემდეგი მოლაპარაკებისა ინგლისის პრეტენზიების შესახებ, — საბჭოთა მთავრობის ყოველგვარი კონტრ-პრეტენზიები განხილული იქნება.

ინგლის-საბჭოთა კავშირის შერიგების ასოციაცია

ლონდონი. 27 მაისი. ლონდონში დაარსდა ახალი ორგანიზაცია „ინგლის-რუსეთის შერიგების ასოციაციის“ სახელწოდებით, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ურთიერთობის გაუმჯობესებას ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის. ასოციაციის თავმჯდომარეა—სერ ჩარლზ სტიუარტი, ყოფილი საზოგადო მზრუნველი, საორგანიზაციო ნაწილის გამგეა—სტაფორდ ტალბოტი, რომელმაც ამას წინათ მიატოვა რუსეთის ინგლისელი კრედიტორების ასოციაციის ვიცე-თავმჯდომარის თანამდებობა.

შეკითხვა საბჭოთა ოქროს შესახებ

ლონდონი. 27 მაისი. თემთა პალატაში ვაჭრობის მინისტრ ლისტერს შეკითხვა მისცეს იმის შესახებ, რომ იცის თუ არა მან, რომ საბჭოთა მთავრობამ ინგლისში შეიტანა ოქრო 900.000 გირ. სტერლინგის რაოდენობით და იცის თუ არა მან, რომ საბჭოთა მთავრობას განზრახვა აქვს ეს ოქრო გამოიყენოს თავისი კრედიტის აღსადგენათ ინგლისში, რომ ინგლის-რუსეთის ვაჭრობა დააყენოს საერთოდ მიღებულ კომერციულ ნიადაგზე.

მინისტრის ამხანაგმა გინესმა უპასუხა: „მე ვიცი, რომ ეს ოქრო გასულ კვირაში იყიდა ინგლისის ბანკმა საბიოჟო მაკლერის საშუალებით ჩვეულებრივი გარიგების წესით. მე არ მაქვს ცნობები, თუ საიდან არის მიღებული ეს ოქრო და იმ მიზნების შესახებ, რომლებისთვისაც მოახდინეს მისი გაყიდვა“

იაპონიის ელჩი მოემგზავრება მოსკოვში

ტოკიო. 27 მაისი. ტანაკა ტაკიცი, რომელიც დანიშნულია იაპონიის ელჩად საბჭოთა კავშირში, გამოემგზავრება მოსკოვში ივნისის შუა რიცხვებში.

შესაძლებელია, რომ ტანაკასთან ერთად წამოვიდეს კავაკამიც, როგორც საქმიან წრეების წარმომადგენელი და იაპონიის დელეგაციის მეთაური იაპონია-საბჭოთა კავშირის კონფერენციაზე. კავაკამი თავის დროზე მოლაპარაკებას აწარმოებდა იაპონიაში იოფესთან.

ინგლის-საფრანგეთის უთანხმოება

საფრანგეთის პასუხის მკაცრი კრიტიკა

ლონდონი, 27 მაისი „დეილი ტელეგრაფი“-ი (გაზეთი, რომელიც ახლო სდგას ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროსთან) სასტიკად აკრიტიკებს საფრანგეთის პასუხის პროექტს საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ; ეს პროექტი შედგენილია ბრიანის მიერ.

გაზეთის აზრით, ბრიანის მოთხოვნა, რომ ყველა საარბიტრაჟო ხელშეკრულებები გერმანიასა და მის მეზობლებს შორის უზრუნველყოფილ იქნეს ყველა იმ ქვეყნების მიერ, რომლებიც ხელს მოაწერენ საგარანტიო ხელშეკრულებას, ინგლისს ჩააყენებს ისეთ მდგომარეობაში, რომ ის იძულებული იქნება უზრუნველყოს, სხვათა შორის, გერმანია-პოლონეთის საზღვრები. გაზეთი ფიქრობს, რომ ამ გზით საფრანგეთის მთავრობას განზრახვა აქვს გვერდი აუაროს ერთა ლიგის მიერ ამ საკითხების გადაწყვეტის ნელ პროცედურას და მიიღოს ერთა ლიგის საბჭოს ერთსულოვანი დადგენილება გერმანიის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტი დაიწყება გერმანიასა და პოლონეთს შორის. გაზეთი აღნიშნავს, რომ თუ ინგლისი უზრუნველყოფს ამრიგად საზღვრებს აღმოსავლეთ ევროპაში, საფრანგეთს ამით უფლება ეძლევა შეუტიოს გერმანიას ნეიტრალური ზონიდან, რომ მხარი დაუჭიროს თავის მოკავშირეებს აღმოსავლეთში.

გაზეთი დაასკვნის, რომ ინგლისის და საფრანგეთის მთავრობის ხელშეკრულებანი საგარანტიო ხელშეკრულების ამოცანებზე არსებითად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს და აცხადებს, რომ ინგლისის მთავრობა მზად არის განიხილოს მხოლოდ ისეთი საგარანტიო ხელშეკრულება, რომელიც ორივე ქვეყნის ინტერესებს გამოხატავს და რომელიც დადებული იქნება მხოლოდ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის. „სანამ საფრანგეთის მთავრობა —ათავებს გაზეთი—არ დათანხმდება დაკმაყოფილდეს იმ ერთად ერთი გარანტიით, რომლის მოცემა შეუძლია ინგლისის მთავრობას, მანამდი არ შეიძლება მოველოდეთ იმას, რომ დაწყებული მოლაპარაკება პრაქტიკულ შედეგებს მოიღებს“.

საფრანგეთი მოითხოვს გერმანიის სრულ განიარაღებას.

ლონდონი. 27 მაისი. რეიტერის სააგენტოს საფრანგეთის წყაროებიდან ატყობინებენ, რომ ის მოთხოვნილებები განიარაღების შესახებ რომლებსაც მოკავშირეები უყენებენ გერმანიას, შეიძლება ამ უკანასკნელის მიერ შესრულებული იქნეს რამოდენიმე კვირის განმავლობაში საერთოდ, საფრანგეთის მთავრობა ფიქრობს, რომ გერმანიამ შეასრულა თავისი ვალდებულებები იარაღის მარაგის მოსპობის შესახებ.

მაგრამ, ანგარიშს არ უწევს რა მეორეხარისხოვან მუხლებს, საფრანგეთის მთავრობა სერიოზულად ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ გერმანიას რჩება დიდი გენერალური შტაბი; საფრანგეთის მთავრობა მოითხოვს აგრეთვე გერმანიის პოლიციის შემცირებას. საფრანგეთის მთავრობის აზრით, გერმანია შესძლებს ყველა იმ მოთხოვნილებების შესრულებას, რომლებიც შეტანილი იქნება საფრანგეთის საპასუხო ნოტაში; ნოტა გერმანიას გაეგზავნება სექტემბრის ბოლო რიცხვებში. ამ მოთხოვნილებების შესრულებას შედეგათ მოჰყვება კელნის ზონის დაცლა მოკავშირეების მიერ.

ომი მაროკოში

მუშები მაროკოს ომის წინააღმდეგ

პარიზი, 27 მაისი. მუშათა მასები, რომლებიც ემხრობიან საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას, პირდაპირ მტრულად არიან განწყობილნი ყოველგვარი სამხედრო ავანტიურის წინააღმდეგ. როგორც სჩანს, ამ გარემოებამ აიძულა რენოდელი დაესვა პალატის სამხედრო საქმეთა კომისიის სხდომაზე საკითხი მაროკოში დელეგაციის გაგზავნის შესახებ. ამ დელეგაციას ექნება კომისიის უფლებები მაროკოში მომხდარი ამბების გამოსაძიებლად.

შრომის საყოველთაო რეფორმისტული კონფედერაცია, რომელიც მუშათა მასების ზეგავლენით იძულებული გახდა გამოეთქვა თავისი აზრი მაროკოს საკითხის შესახებ, თავის მოწოდებაში მოითხოვს დაუყოვნებლივ მოლაპარაკების დაწყებას ზავის ჩამოგდების მიზნით.

შეკითხვები და კამათი საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ მაროკოში

„ბოლშევიკების ბრალია“...

პარიზი, 27 მაისი. დეპუტატთა პალატაში შეტანილი იყო შეკითხვები საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ მაროკოში. შეკითხვების გარშემო გამართულ კამათის დროს რენოდელმა განაცხადა, რომ მას მდგომარეობა სერიოზულად მიაჩნია. მან სთქვა, რომ აბდ-ელ-ქერიმის ნაბიჯები ნაკარნახევია გარედანო. შემდეგ რენოდელმა განაცხადა, რომ მაროკოს ამბებში წილი უდევს კაპიტალისტურ ინტერესებს და ადგილი აქვს ბოლშევიკურ ზეგავლენას. რენოდელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალისტური პარტია არ მოითხოვს დაჟინებით მაროკოს დაცლას, მაგრამ მას არ სურს, რომ საფრანგეთი ჩათრეულ იქნეს ომში, რომლის შედეგის გათვალისწინება შეუძლებელია.

შეთანხმებულად ძარცვა

გარეშე საქმეთა მინისტრმა ბრიანმა აღნიშნა, რომ როცა საქმე მიდგება იმ ინციდენტის მოგვარებაზე, რომელიც შეიძლება სწარმოიშვას მაროკოს რომელიმე ზონაში, საფრანგეთი ვალდებულია იმოქმედოს ესპანეთთან შეთანხმებით.

იმპერიალისტები აღშფოთებული არიან.

შემდეგ გამოვიდა კომუნისტი დორიო, რომელმაც სასტიკად გაილაშქრა საფრანგეთის მთავრობის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ. როცა დორიომ განაცხადა, რომ საფრანგეთის ჯარები მაროკოში პროტესტს აცხადებენ რიფებთან ომის წინააღმდეგ, ერიომ გაილაშქრა კომუნისტების წინააღმდეგ, რომლებიც, მისი აზრით, ცდილობენ საფრანგეთის ჯარების დაშლას. როცა დორიომ გაიგო საფრანგეთის მეზღვაურების აჯანყება, რომელსაც ადგილი ჰქონდა შავ ზღვაზე 1919 წელს, და მოუწოდა საფრანგეთის ჯარისკაცებს მიებაძათ ესპანელებისათვის, რომლებიც დაემორჩილენ რიფებს,—დეპუტატთა პალატამ გაკიცხვა გამოუცხადა დორიოს წინააღმდეგ კომუნისტების და სოციალისტების (ნაწილის) ხმებისა.

ინგლისის იმპერია იშლება

ავსტრალია გამოყოფით იმუქრება.

ლონდონი, 27 მაისი. ავსტრალიის პრემიერმა ბრიუსმა საყურადღებო განცხადება გააკეთა ავსტრალიის კომისარისათვის ლონდონში ელჩის წოდების მინიჭების გამო.

„დაუშვათ—სთქვა ბრიუსმა,—რომ ინგლისის მთავრობა იძულებულია სასწრაფო გადაწყვეტილება მიიღოს საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ. ასეთ შემთხვევაში, მას დრო არ ექნება, რომ შეგვეკითხოს ჩვენ, და იმავე დროს დომინიონები პასუხისმგებელი იქნებიან ამ გადაწყვეტილებისათვის, რადგან ისინი იმპერიის ნაწილს შეადგენენ.

შემდეგ ბრიუსმა დაუმატა: „მე ვფიქრობ, რომ თანდათანობით ყველა უნდა დარწმუნდეს იმაში, ახალშენებმა არ უნდა შეასრულონ ინგლისის მთავრობის დადგენილება, თუ მათ საშუალება არ ჰქონდათ წინასწარ განეხილათ ეს დადგენილება თავისი ინტერესების თვალსაზრისით“.

წერილი ინგლისიდან

ბურჟუაზიის იერიშები

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ლონდონი, 10 მაისი. ის იერიშები, რომელსაც რამდენიმე თვის განმავლობაში ველოდით 8 საათის სამუშაო დროის წინააღმდეგ, უკვე დაიწყო. ბურჟუაზია ამ იერიშებს უკვე აშკარათ აწარმოებს არა მარტო ერთ რომელიმე დარგში, არამედ მთელ მრეწველობაში და თანაც ერთ და იმავე დროს. აქ უკვე ნათელი ხდება ბურჟუაზიის ვერაგული განზრახვა: ის ეშურება, რაც შეიძლება ადრე მოახდინოს ეს შეტევა, სანამ არ განხორციელებულა მუშათა მოძრაობის ის მთლიანობა, რომელიც ასეთი სწრაფი ნაბიჯით ვითარდება. კაპიტალისტებს უნდათ დაამარცხონ მუშები, სანამ მათ არ მოუსწრიათ ყველა თავიანთი ძალების ორგანიზაციულათ შეკავშირება.

კაი ყუმბარასავით იფეთქა იმ ცნობამ, რომ რკინის-გზის ორი კომპანია აღარ უცდის მუშებთან დაწყებულ მოლაპარაკების დამთავრებას, რომელიც სწარმოებდა რკინისგზელთა მოთხოვნილების საფუძველზე. მათ უნდათ მოსპონ 8 საათის სამუშაო დღე, შეამცირონ მოსამსახურეთა რაოდენობა და დაუკლონ ხელფასიც.

ეს კომპანიები მიზეზათ იყენებენ იმას, რომ შესამჩნევათ შემცირდა ქვა-ნახშირის წარმოება, განსაკუთრებით კი შემცირდა მისი გატანა საზღვარგარეთ და ამიტომ მათაც აღარ შეუძლიათ თავიანთ აქციონერებს აძლიონ ის მოგება, რაც მათთვის მხოლოდ მინიმუმს წარმოადგენს. მაგრამ ეს განგებ მოჩმახული მიზეზია, რადგან ერთ კომპანიას სათადარიგო თანხათ გააჩნია 23 მილ. გირ. სტერლინგი და მეორეს—27 მილ. გირ. სტერლინგი.

ამ კომპანიების განზრახვას ვერაგულათ მხარს უჭერენ „მუშათა ბელადები“ ტომასი და კრამპი, რომლებიც საქვეყნოთ ელაპარაკებიან რკინისგზელებს, თითქოს კომპანიები „საშინელ გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიანო“.

რკინის გზის დანარჩენ კომპანიებსაც უნდათ მიჰბაძონ ამ ორ კომპანიის და სცდილობენ გამოიჩინონ მათებური „მომჭირნეობა“.

კომპანიების ასეთმა ულტიმატისებურმა მოთხოვნამ დიდი აღშფოთება და პროტესტები გამოიწვია მუშათა მასებში. ყველგან გამოიტანეს სასტიკი რეზოლიუციები, სადაც ამბობდენ, რომ ნებას არ მისცემენ ხელი შეახონ 8 საათის სამუშაო დღეს.

უკვე სწარმოებს წინასწარი შეტაკებანი, რაც მოასწავებს გადამწყვეტი ბრძოლის მოახლოვებას. ერთი ფინანსიური გაზეთი სწერს შემდეგს:

„კომპანიები ემზადებიან სასტიკი ბრძოლისთვის ტრედ-უნიონების წინააღმდეგ და ეს ბრძოლა იქნება უფრო დაუნდობარი, ვიდრე სხვა რომელიმე, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქამდის. თუ კომპანიებმა დროებითი ზარალი ნახეს გაფიცვების გამო, მაგრამ მაინც გაიმარჯვეს, ეს იქნება მათი პრინციპის დღესასწაული, რაც ძალიან შეუწყობს ხელს მათი აქციების სიმტკიცეს“.

ეს, რასაკვირველია, სრული ჭეშმარიტებაა.

სატრანსპორტო დარგში იერიში გრძელდება ლონდონის უნდერგრუნდის (მიწის-ქვეშე რკინის გზა) მოთხოვნით, რომ შეამცირონ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი.

იმ დროს, როცა რკინის გზის კომპანიები ასე აცხოველებენ თავიანთ იერიშებს მექანიკურ წარმოების მეპატრონეებიც უკან არა რჩებიან. იმათაც თავიანთ მხრივ 41 კავშირს წარუდგინეს პირობები, სადაც მოითხოვენ, რომ კვირეულათ სამუშაო საათები გაზრდილ იყვეს ასე: დღე მომუშავეთათვის 47 საათის მაგიერ—52 ნახ. საათი კვირაში და ღამე მომუშავეთათვის კი—47 საათის მაგიერ 50 საათი. მეპატრონეების წინადადებაში ნაგულისხმევია აგრეთვე ზედმეტ სამუშაო ფასის შესამჩნევი შემცირება. მაგალითად დღის მომუშავე მიიღებს ხელფასის 1 ნახ. ნაცვლად—1 მეოთხედს. ღამის მომუშავე კი—1 ორ-მესამედის ნაცვლად—1 ნახევარს.

მეპატრონეებისაგან ასეთი პირობების წაყენება თითქოს ერთგვარ პასუხს წარმოადგენდა მუშების საერთო მოთხოვნილებაზე, რომ მომატებოდათ კვირაში 20 შილინგი. მეპატრონეების ასეთმა ქცევამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მუშათა მასებში. მექანიკურ წარმოებაში ისედაც დიდი უმუშევრობა იყო ჩამოვარდნილი და მეპატრონეთა ასეთი მოთხოვნილება ხომ კიდევ უფრო გააძლიერებს ამ უმუშევრობას. როგორცა სჩანს, ინგლისის მწარმოებელთ მტკიცეთ აქვთ გადაწყვეტილი, რათაც უნდა დაუჯდეთ—გაამრავლონ უმუშევართა რიცხვი, რომ შემდეგ უფრო უკეთესათ დასძლიონ მუშათა წინააღმდეგობა

სანაოსნო კავშირის კომიტეტმა მიიღო მეპატრონეთა წინადადება, რომ აირჩიონ შერეული კომისია ამ წარმოების მდგომარეობის გამოსარკვევათ. სანაოსნო წარმოების მეპატრონენიც ჰბაძავენ სამექანიკო წარმოების მეპატრონეებს და მიუთითებენ უცხოეთის კონკურენციაზე. მაგალითად იყენებენ იმას, რომ ერთმა ინგლისურმა ფირმამ თავისი შეკვეთანი მისცა ჰამბურგში (გერმანია) და არა ინგლისში.

ამ კავშირებს, როგორც ეტყობა ძალიან ცუდი მრჩეველები ჰყავთ. შერეული კომისიები, რომლის ასეთი თავგამოდებული მომხრეებიც არიან კაპიტალისტები, წარმოადგენენ მხოლოდ საშუალებას, რომ მუშები წაიყვანონ, რაც შეიძლება საზარალო დათმობებზე.

ჩვენ ამისი მაგალითი უკვე გვაქვს მემაღაროეთა ფედერაციაში, რომელიც დათანხმდა შერეულ კომისიაზე მწარმოებლებთან. ამ კომისიამ არავითარი შედეგი არ მოგვცა. ყოველ კრებაზე მწარმოებლები მხოლოდ იმას სცდილობდენ, რომ დაემტკიცებიათ სამუშაო დროის მომატების აუცილებლობა. მაგალითად მოჰყავთ ყოველთვის გერმანიის მემაღაროენი.

მაღაროების მეპატრონეებს ეტყობა გადაწყვეტილი აქვთ, ან დაითანხმონ მუშები თავიანთ მიერ წარდგენილ ბატონყმურ პირობებზე, ან დააწყებინონ სასტიკი ბრძოლა. ამის გამო 20 მაისისთვის ქ. ბლეკპოლში მოწვეულია მემაღაროეთა დელეგატების საგანგებო კრება. დიდათ საყურადღებო გადაწყვეტილებანი იქნება მიღებული ამ კონგრესზე იმ მოლაპარაკების მიხედულობით, რომელსაც აწარმოებდენ მემაღაროეთა აღმასრულებელი კომიტეტი და სხვა ტრედ-უნიონების კომიტეტები ერთ მთლიან საწარმოვო კავშირის დაარსების შესახებ.

როგორც ხედავთ, ინგლისის მთელი მუშათა კლასი სდგას ბურჟუაზიის მიერ დაწყებულ იერიშის წინაშე, რომელიც ემუქრება სამუშაო დროს და საერთოდ შრომის ყველა პირობებს. ამ იერიშებს წარმოების ფრონტზე კიდევ ზედ ერთვის იერიშები პოლიტიკურ ფრონტზეც, რომ პროლეტარიატს მოუსპონ ის მცირედი უფლებანიც კი, რომელიც მას ებადა აქამდის.

და ამ უძლიერეს ბურჟუაზიულ კოალიციის დროს მუშათა პარტიაში და ტრედუნიონებში მოიპოვებიან ისეთი ბელადები, რომლებიც მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნას სთვლიან დანაშაულად ერის წინაშე.

ქ. დავით.

„კომუნისტი" მიიღება ხელის მოწერა ივნისისათვის

ერთი თვით, პროფკავშირების წევრებისათვის თბილისში და პროვინციაში: 75 კაპ.
დანარჩენებისათვის, თბილისში 1 მ. | პროვინციაში—1 მ. 20 კ.

ხელისმომწერლებს ორ-[illegible] დაურიგდებათ [illegible] დამატებები:
1. „მეცნიერება და ტეხნიკა" (ორი ნომერი თვეში) და 2. „ჩირაღდანი" (ორი ნომერი თვეში)

ბულგარელი ბანდიტები „მუშაობენ"

უკანასკნელი შეხვედრა.

ვენა, 27 მაისი. 26 მაისს, შუადღემდე, მსჯავრდადებულმა ფრიდმანმა, ზაგორსკიმ და კოევმა, რომელთაც ჩამოხრჩობა აქვთ გადაწყვეტილი სოფიაში აფეთქების მოწყობის გამო, ჯერ კიდევ არ იციდენ დაკმაყოფილებულია თუ არა მათი თხოვნა შეწყალების შესახებ. 26 მაისს საღამოს მსჯავრდადებულთა ნათესავებს უფლება მისცეს უკანასკნელათ ენახათ ისინი.

ჯალათებმა თავისი ჰქნეს.

ვენა, 28 მაისი. 27 მაისს დილით სოფიაში ერთ-ერთ დიდ მოედანზე ხალხის თვალწინ სისრულეში მოიყვანეს სასიკვდილო განაჩენი, გამოტანილი ფრიდმანის, ზაგორსკის და კოევის მიმართ სოფიის ტაძრის აფეთქების საქმის გამო.

განაჩენის წაკითხვა გაგრძელდა ნახევარი საათი. ამის შემდეგ პირველად ჩამოახრჩვეს კოევი, შემდეგ ზაგორსკი და უკანასკნელად ფრიდმანი.

განაჩენი ნიკოლოვას საქმეზე.

ვენა, 27 მაისი. აფეთქების მომწყობთა დამალვისათვის ნიკოლოვას და მილევს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, ლეევს—სამუდამო დაპატიმრება, ფრანგ მალეს—ციხეში დამწყვდევა წელიწადნახევრის ვადით.

მოლაპარაკება გემ „უტრიშ"-ის დაბრუნების შესახებ.

ოდესა, 28 მაისი. გრძელდება მოლაპარაკება ვარნაში წაყვანილ საბჭოთა გემის „უტრიშ"-ის დაბრუნების შესახებ. მართლდება ცნობა, რომ გემის ყოფილი მეპატრონე ნეოფიტი იმყოფება ბულგარეთში. გამორკვეულია, რომ „უტრიშ"-ი წაყვანილ იქნა ნეოფიტის მონაწილეობით. ირკვევა, რომ „უტრიშ"-ის საბჭოთა კავშირის უკანასკნელ ნავთსადგურიდან გასვლის წინ, „მეზღვაურებმა", რომლებმაც შემდეგში აიძულეს „უტრიშ"-ის მოსამსახურეები გაეყვანათ გემი, შეისყიდეს დიდძალი სურსათ-სანოვაგე, რადგან აპირებდენ შორი გზით მოგზაურობას.

ემიგრაციის ჭაობში

„ვეჩერნეე ვრემია"-მ სული განუტევა.

პარიზი. 27 მაისი. ბორის სუვორინის ორგანო **„Вечернее время"** აღარ გამოდის. როგორც ჩანს, გამოცემა შეწყდა საშუალებების უქონლობის გამო.

არის ცნობა, რომ ახლო მომავალში დაიწყება ყოველდღიური გაზეთის გამოცემა სტრუვეს რედაქტორობით.

მამაცი მოჯირითე.

პარიზი, 27 მაისი. ყოფილი გენერალი შკურო პარიზის ერთ-ერთ ცირკში გამოდის ყაზახების ჯგუფთან ერთად, როგორც მოჯირითე.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ნათესების მდგომარეობა მოუსავლიან რაიონებში

მოსკოვი, 28 მაისი. მოუსავლიანობის შედეგებთან მებრძოლ კომისიის ცნობებით, სახამთრო და საგაზაფხულო ნათესების მდგომარეობა მოუსავლიან რაიონებში დამაკმაყოფილებელია.

ადგილებიდან მიღებულ ცნობების მიხედვით, საგაზაფხულო ნათესებს ძალიან კარგი პირი უჩანს.

ამხ. სემაშკო გადის კავკასიაში.

სამარა. 27 მაისი. სამარაში ჩავიდა სემაშკო, რომელიც მიემგზავრება კავკასიაში. სამარაში სემაშკომ დაათვალიერა მთელი რიგი სამკურნალოების.

გემ. „ტობოლსკ"-ის დაზიანება.

ოდესა. 28 მაისი. გემი „ტობოლსკ"-ი, რომელიც ამის წინათ გადაეცა საბჭოთა კავშირის სავაჭრო ფლოტის სამმართველოს, იტალიიდან ბრუნდებოდა ოდესაში; სინოპის კუნძულთან, სტამბოლსა და ბათომს შუა გემი დაეჯახა წყალქვეშა რიფს და დაზიანდა. კონსულმა მიიღო გადამწყვეტი ზომები გემის გადასარჩენად. ცურვის გადაწყვეტის საშუალებით კომპანიამ მოახერხა გემის მოშორება რიფიდან. ტვირთი არ დაზიანებულა. „ტობოლსკ"-ი ოდესაში მოვიდა დაზიანებული.

გემის რემონტი გაგრძელდება ერთი კვირა.

ჯაშუშთა ორგანიზაციის საქმე

კიევი, 28 მაისი. N-ის მსროლელი კორპუსის სამხედრო ტრიბუნალში დაიწყო ჯაშუშთა დიდი ორგანიზაციის საქმის გარჩევა; ორგანიზაციას მეთაურობდა ყოფილი გენერალი ბელავინი. ბრალდებულთა ერთ ნაწილს წაყენებული აქვს ბრალდება პირდაპირ ჯაშუშობაში პოლონეთის სასარგებლოთ, მეორე ნაწილს კი—ჯაშუშობისათვის აქტიურ დახმარების გაწევაში და მათ დამალვაში.

საქმის შინაარსი შემდეგია:

1924 წლის ზაფხულზე მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს კიევის განყოფილებამ გამოარკვია, რომ პოლონეთის დელეგაცია კიევში და აგრეთვე პოლონეთის საელჩო ხარკოვში ჯაშუშობას ეწეოდენ, ამასთანავე ჯაშუშობის მთავარი ცენტრები იყო კიევის დელეგაციის თანამშრომელი პავლოვსკი, რომლის ჯაშუშური მუშაობის ცენტრი იყო ყოფილი მემამულის ქვრივის კრუეჩკოვსკაიას ბინა. პავლოვსკიმ წინადადება მისცა კრუეჩკოვსკაიას ბინაში მცხოვრებ ყოფილ გენერალ-მაიორ ბელავინს ეკისრა ჯაშუშობის ტეხნიკურათ მოწყობის საქმე, რაზედაც მან თანხმობა განაცხადა.

ბელავინმა ორგანიზაციაში ჩააბა მთელი რიგი პირები, მათ რიცხვში მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი ივანოვი, რომელიც იმ დროს წითელ არმიაში მსახურობდა. ივანოვი აწვდიდა ბელავინს მისთვის ყველაზე უფრო ძვირფას საიდუმლო ცნობებს, რომლებიც კრუეჩკოვსკაიას ქალიშვილს მიჰქონდა ხარკოვში პოლონეთის საელჩოში.

სასამართლო შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას. ბელავინი ყველა კითხვებზე უპასუხებს მკაფიოდ და [illegible].

ბრალდებული ივანოვი—მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი—აცხადებს, რომ მას თეთრებთან არ უმსახურნია, წითელ არმიაში კი მას ეჭირა საშტაბო თანამდებობანი, სადაც მუშაობდა უკანასკნელ დრომდე. კრუეჩკოვსკაია აცხადებს, რომ ის აზნაურია, არქეოლოგიური ინსტიტუტის მსმენელი. დანარჩენი ბრალდებულების უმეტესობა—მეფის არმიის ყოფილი საკადრო ოფიცრებია. დანარჩენ ბრალდებულთა დაკითხვამ არაფერი ახალი არ გამოარკვია.

საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ, სასამართლო ხელახლა შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას. ბელავინი დამნაშავეთ სთვლის თავს მხოლოდ არაპირდაპირ ჯაშუშობაში პოლონეთის სასარგებლოთ. ივანოვი დამნაშავეთ სთვლის თავს იმაში, რომ ბელავინს აძლევდა საიდუმლო ცნობებს. დაკითხვის შემდეგ სასამართლოს სხდომა შეწყდა მეორე დღემდე.

[illegible] 30 მაისს, საღამოს 6 საათზე, წითელ თეატრში შესდგება პარტწევრებისა და კანდიდატების სარაიონო კრება.

დღის წესრიგი:

მოხსენება ამხ. ორჯონიკიძისა

„მეთოთხმეტე პარტკონფერენციის შედეგების შესახებ"

დასწრება სავალდებულოა არსრაიონის ყველა პარტწევრებისა და კანდიდატებისათვის.

მდივნის მაგიერ წითლიძე.

ივნისის პირველ რიცხვებში გამოვა ყოველთვიური ჟურნალი

„სოფლის კომუნისტი"

ს. კ. პ. (ბ) ცეკას ორგანო

სარედაქციო კოლეგიაში შედიან: 1) ლ. ქართველიშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), 2) მ. ორახელაშვილი, 3) მახარაძე 4) ვ. ბახტაძე, 5) გ. მუშიშვილი

ჟურნალში უმთავრესად გაშუქებული იქნება სოფლად პარტიული მუშაობისა და საბჭოთა აღმშენებლობის საკითხები.

ჟურნალი ღირება ერთი თვით 20 კაპ. ერთი წლით 2 მან. ცალკე ნომერი 20 კ. ხელის მოწერა მიიღება გაზ. „ახალი სოფელი"-ს კანტორაში

რედაქციის მისამართი: ს. კ. პ. ც. კ-ტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება

6. 1227—5—3

„სრ. რუსეთის გლეხთა კავშირის" საქმე

ხარკოვი. 28 მაისი. ამ დღეებში ხარკოვში დაიწყება „სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის" საქმის გარჩევა. საქმის შინაარსი ასეთია:

1922 წელს კიშინიოვში გამოჩნდა ვინმე აკაცატოვი, ყოფილი ესერი, ნაფიცი მსაჯული, აქტიური თეთრგვარდიელი, რომელმაც თავისი თავი გამოაცხადა „გლეხთა კავშირის" თავმჯდომარედ. ეს „გლეხთა კავშირი" მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას შეიარაღებული ძალებით. მისი ლოზუნგი იყო: „გლეხთა საბჭოები კომუნისტებს გარეშე".

აკაცატოვმა კავშირი დაიჭირა რუმინეთის „ოხრანკასთან", საფრანგეთის კონსულთან კიშინიოვში და აგრეთვე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის წარმომადგენელთან ბუქარესტში—გენერალ გერუაათან. გერუას დახმარებით აკაცატოვმა გააჩაღა უკრაინაში ფართო ჯაშუშური კონტრ-რევოლუციონური მუშაობა „სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის" დროშის ქვეშ. გერუამ ამ მუშაობის წარმოება დაავალა პეტლიურის ყოფილ ოფიცერს ბოროვსკის, რომელიც შემდეგში მეთაურობდა ზაბოლოტნის ერთერთ ბანდას. ბოროვსკი გაგზავნილი იყო ბოლტის და ოლგოპოლის ოლქში. ამას გარდა, რუმინეთის საკონცენტრაციო ბანაკში არჩეული იქვენ ყოფილი თეთრები, რომლებიც გადადიოდენ უკრაინაში და კავშირს იჭერდენ ბოროვსკისთან. ისინი რუმინეთის „ოხრანკის" შემწეობით გადადიოდენ საზღვარზე, აწოდებდენ ბოროვსკის განკარგულებებს და ღებულობდენ მისგან ცნობებს, წერილებს, ბრძანებებს და საბჭოთა გაზეთებს.

შემდეგში მუშაობაში ჩაბმული იყვნენ სხვა პირებიც, რომლებიც ცხოვრობენ უკრაინაში, ვინმე სიროჯი სანდულის მეთაურობით; უკანასკნელიც ხშირად გადადიოდა საზღვარზე და აწარმოებდა კონტრ-რევოლუციონურ მუშაობას.

სანდული აკაცატოვის თანამშრომელ შაბოვსკისთან ერთად გაემგზავრა ბუქარესტში გერუაასთვის მოხსენების გასაკეთებლად. მან გადასცა გერუას, რომ გლეხობა მზად არის დაიწყოს ბრძოლა საბჭოების წინააღმდეგ. გერუამ აღუთქვა იარაღის მიწოდება და აკაცატოვმა სანდულს დაავალა დაეწყო ხელისმოწერა იმ გლეხებს შორის, რომლებთან ის აწარმოებდა აგიტაციას, მაგრამ ხელი მას არავინ მოუწერა.

კიშინიოვში სანდული შეხვდა ბურუხოვს, ტირასპოლზე თავდასხმის მონაწილეს, აგრეთვე ვინმე მოსკვიჩს, რომლებიც მან ჩააბა ორგანიზაციაში. მოსკვიჩს დავალებული ჰქონდა კომკავშირში შესვლა.

ყველა აგენტების მუშაობის გასაერთიანებლად 1924 წლის აპრილში მოწვეული იყო ყრილობა. ამ დროს აკაცატოვს, გერუას და ამ „შაიკის" სხვა მონაწილეებს შორის წარმოიშვა უთანხმოება, ისინი ერთმანეთს აბრალებდენ ფულის მითვისებას. ამას მოჰყვა კინკლაობა და ჯაშუშობა ერთი-მეორეს წინააღმდეგ. ბოროვსკი უკმაყოფილო იყო აკაცატოვით. ყრილობამ დაადგინა ჩამოშორებოდნენ აკაცატოვს და დაუკავშირდნენ უშუალოდ გერუას, უკანასკნელთან გაგზავნილი იქნენ წარმომადგენლები, რომელთაც უნდა ეთხოვნათ დახმარება ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძისათვის. მაგრამ სანდულმა უამბო ამის შესახებ აკაცატოვს და ჩაშლილი იქნა მათი გამგზავრება. ამის შემდეგ ეს ორგანიზაცია აღმოჩენილ იქნა.

უკრაინის ტერიტორიაზე მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ პასუხისგებაში მისცა 43 კაცი. უმრავლესობამ თავი დამნაშავედ სცნო.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

გოგირდის წყარო

თელავი, 28 მაისი. სოფელ უდინის ახლოს გლეხებმა აღმოაჩინეს გოგირდის წყარო. ეხლა იქ მოწყობილია კურორტის მაგვარი ადგილი, **სადაც მრავლად** მიდიან ახლო-მახლო სოფლების გლეხები და რიგრიგობით იღებენ ვანებს.

სომხეთი

ახალი ელექტრო-სადგური

ერევანი, 28 მაისი. ტრესტმა „არარატ"-მა სადახლოს ახლოს გახსნა 70 ცხ. ძალის ახალი ჰიდრო-ელექტრო სადგური. სადგური გაანათებს [illegible] რკინისგზის შენობებს და ახლო-მახლო სოფლებს.

თოვლი ახალ-ბაიაზეთის მაზრაში

ერევანი, 28 მაისი. ახალ-ბაიაზეთის მაზრაში ორი დღის წვიმების შემდეგ მოვიდა თოვლი. მოსალოდნელია ნათესების დაღუპვა.

ეკონომიური ცხოვრება

საფინანსო მეურნეობის ქრონიკა

ა/კ. ფინსახკომის რწმუნებულის ამხ. ღლონტის დავალებით სამმართველოსთან დაარსებულ იქნა კომისია პასუხისმგებელ თანამშრომლების მანსვეტაშვილის, ქოიავას, ორჯონიკიძის, ჯაფარიძის და მაჭავარიანის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა საფინანსო მეურნეობის ადგილობრივ გამოკვლევა, რათა სამმართველომ მიიღოს სწორი წარმოდგენა საფინანსო მეურნეობის მდგომარეობაზე და ამით გააძლიეროს სამმართველოს მუშაობა.

კომისიამ საჭიროდ იცნო ავტონომიურ რესპუბლიკების და 9 მაზრის დათვალიერება და შეიმუშავა გეგმა, რომელიც შეუთანხმა პარტიის ცეკას, საგეგმო კომისიის, მ. გ. ინსპექციის და შინაგან სახალხო საქმეთა კომისარიატის დადგენილებებს.

ახლო მომავალში კომისია ამხ.ამხ. ორჯონიკიძის, ჯაფარიძის და ქოიავას შემადგენლობით და ამხ. ღლონტის ხელმძღვანელობით მიემგზავრება ერთს უახლოეს მაზრაში.

გურიაში ჩაის მოყვანის საქმე საფრთხეშია

საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება

უამრავი ზიანი მიაყენა გასული წლის ზამთარმა ჩვენი ქვეყნის მეურნეობას. ამ წერილში მე არ შევუდგები იმის აღწერას, თუ როგორ გახადგურდა გასული წლის სუსხიანი ზამთრის მეოხებით ჩვენი ქვეყნის სუბტროპიკული კულტურა; მხოლოდ აღვნიშნავ, რომ დიდი შრომის და თანხის დახარჯვა იქნება საჭირო, რათა კვლავ აღვადგინოთ საშინელი ზამთრის მიერ თითქმის სავსებით გადამხმარ ლიმონის, ფორთოხლის და მანდარინის ბაღები.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო ერთი მეტად სამწუხარო გარემოება, რომელიც მოითხოვს სასწრაფო ზომების მიღებას. რამოდენიმე დღის წინად მე ვიყავი გურიაში, რათა პირადათ გამომერკვია, თუ რა ზიანი მიაყენა გასულმა ზამთარმა ამ რაიონში გაშენებულ ლიმონის, ფორთოხლის და მანდარინის ბაღებს. აქ გავიგე ერთ სამწუხარო მოვლენა. გურიაში გლეხკაცობას აქვს გაშენებული ჩაის პლანტაციები. წრევანდელ ზამთარს თითქოს არავითარი ზიანი არ მიუყენებია ჩაის [illegible], მხოლოდ ისეთი გარემოება არის შექმნილი, რომელიც ჩაის კულტურას უქადის განადგურებას.

ეს გახლავთ დამზადებული ჩაის ბაზრის უქონლობა. ახალ მოსავალს კარგი პირი უჩანს, მაგრამ გლეხები მოკრეფა-დამზადებაზე არც კი ფიქრობენ. გლეხებს შევეკითხე: თუ რა მიზეზია, რომ ჩაის მოკრეფა-დამზადებაზე არ ფიქრობენ. გლეხებმა გულნატკენად მიპასუხეს: ნეტავი ჩვენდა საუბედუროდ ჩაის პლანტაციები სულელებით არ გაგვეშენებინა. ჯერ გასული წლის მოსავალი გვიყრია ტომრებით სახლში და კაცი პატრონი არ ჩანს, რომ ჩვენ ნაოფლარს ბაზარი მოუპოვოს. თუ რომელიმე დაწესებულებამ მას ბაზარი არ გამონახა და მის გასაღებაში ხელი არ შეგვიწყო, სწორედ უნდა ავსჭრათ ჩაის ბუჩქები და მის ადგილას სხვა რაიმე უნდა გავაშენოთ. რაც შეეხება წრევანდელ მოსავალს, აბა რათ გვინდა დავკრიფოთ და დავამზადოთ, როცა გასული წლის მოსავალი გაუყიდველი გვაქვსო.

გასული წლის მოსავალს სიხალისით ვკრეფდით და ვამზადებდით, იმ იმედით, რომ ორიოდე გროშ ავიღებთ და მით ცოლშვილს [illegible], მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა, გაყიდვა კი არა, ამის [illegible] ხელიც არავინ არის.

ოზურგეთის მაზრაში დამზადებული ჩაი ჩაქვისას ღირსებით არ ჩამორჩება, მხოლოდ საჭიროა მისი დახარისხება, ეტიკეტებში დაწყობა და რუსეთის ბაზარზე გატანა. საქმის მოსაგვარებლად არც ისე დიდი თანხა არის საჭირო. ოზურგეთის მაზრაში გასული წლის ჩაის მოსავლის შესაძენად საკმარისი იქნება ხუთმეტი ათასი მანეთი. ეს თანხა უზრუნველყოფილი იქნება დამზადებული საქონლის გირავნობით, ან სათანადო ორგანოების თავმდებობით. ჩვენ ქვეყანაში ჩაის კულტურის გაფართოვება-განვითარებაში მას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მხარის ეკონომიურად აღორძინებაში და აი ამიტომ ზემოაღნიშნულ მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ იმ ორგანოებმა, რომლებსაც ეს საქმე შეეხება.

მარიამიშვილი.

მოქ. ხოჯსონის შთაბეჭდილება საქართველოში მოგზაურობიდან

(საუბარი)

გამგზავრების წინ მოქ. ხოჯსონმა ჩვენ თანამშრომელს ხანგრძლივ საუბარში გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები საქართველოს შესახებ.

იმ მოკლე ხნის განმავლობაში,—სთქვა მოქ. ხოჯსონმა,—რომელიც აქ გავატარე, მე მოვასწარი მენახა მთელი რიგი ფაბრიკებისა და სამეურნეო და კულტურულ დაწესებულებებისა და შესაძლებლობა მქონდა ავცნობოდი ქვეყნის ცხოვრებას.

ზაჰესის დათვალიერებით მე იმ დასკვნამდი მივედი, რომ სადგურის აშენება მეტად დიდი საქმეა და იგი ფრიად დიდ ნაყოფს მოუტანს ამ მხარეს. ამ სადგურის აშენებას მეტად დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის. სადგურის აშენებაზე მომუშავე მუშათა ცხოვრების პირობები მეტად კარგია. მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მოწყობილია მთელი ქალაქი.

განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე [illegible] გადასაყვანი [illegible]. შეიძლება გაუკვირდეს ადამიანს, რომ ასე მოკლე ხანის განმავლობაში შეუსრულებიათ ასეთი დიდი საქმე.

კარგ შთაბეჭდილებას ახდენენ მუშათა სახლები, რომლებიც მე ჩასვლისას ვინახულე მცხეთაში. მე [illegible] და თუ [illegible] იყო [illegible] ამ სახლებში და [illegible] იმ დასკვნამდი, რომ [illegible] თავიანთი [illegible].

მეორე დღეს მე დავათვალიერე სახალხო [illegible] დაწესებულებები. მათ შორის ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა [illegible] უნივერსიტეტმა, რომელიც არის ქართული კულტურის [illegible].

კულტურულ დაწესებულებათა დათვალიერების დროს მე იმ დასკვნამდი მივედი, რომ აქ საქართველოში მთავრობა სცდილობს ეროვნულ კულტურის ყოველმხრივ განვითარებას.

მე დავათვალიერე საქართველოს მუზეუმი, სადაც მე განსაკუთრებით მაინტერესებდა ეროვნული ანთროპოლოგიის და ზოოლოგიური და არქეოლოგიური განყოფილებანი. მშვენივრად არის შედგენილი ადგილობრივი მცენარეულობის განყოფილება. ჩემი გაცნობა საქართველოს კულტურულ დაწესებულებებთან მე დავასრულე ეროვნულ გალერეის დათვალიერებით, რომელმაც ჩემზე ყველაზე უფრო კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მეორე დღეს მე გავემგზავრე კოჯორში, სადაც ვინახულე საბავშვო სახლები. კოჯორში ბავშვების ცხოვრების პირობები პირდაპირ არაჩვეულებრივია. კოჯორი ნამდვილი ბავშვთა კურორტია.

გუშინ მე ვიმგზავრე საქართველოს სამხედრო გზაზე, რომელიც კარგ მდგომარეობაშია.

დღეს მე ვინახულე თამბაქოს ქარხანა ლენინის სახელობისა. ფაბრიკა საკმაოდ დიდია და ეტყობა რომ კარგად მუშაობს. კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ფაბრიკასთან არსებული მუშა ქალთა ბავშვებისათვის მოწყობილი ბაგა.

თავის საერთო შთაბეჭდილებების შესახებ მოქ. ხოჯსონმა განაცხადა:

— ერთის წუთითაც არ მეპარება ეჭვი, რომ ქვეყანა სწრაფი ნაბიჯებით მიდის [illegible] სრულ აღორძინებისაკენ და რომ მთავრობა ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რომ გა[illegible] და გაძლიერდეს რესპუბლიკის მეურნეობა.

თუ კი მთავრობა თავის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 62 პროც. განათლების საქმეზე ხარჯავს (როგორც ეს მე გადმომცეს განათლების სახ. კომისარიატში), ეს იმას ამტკიცებს, თუ რამდენად ენერგიულად [illegible] და რა დიდი ყურადღება [illegible].

[illegible]

დასასრულ მოქ. ხოჯსონმა განაცხადა:

— მე არ შემიძლია არ აღვნიშნო [illegible].

მე ძალიან ბედნიერი ვარ—განაცხადა მოქ. ხოჯსონმა,—რომ [illegible] მგზავრობა, და გავეცანი ამიერკავკასიას, საქართველოს და საბჭოთა კავშირის სხვა [illegible].

მოქ. ხოჯსონის გამგზავრება

გუშინ, საღამოს 5 საათზე, ს. ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებული საბჭოთა კავშირში მოქ. ხოჯსონი თბილისიდან ამხ. [illegible] ერთად გაემგზავრა ჭიათურაში შავი ქვის წარმოების გასაცნობად.

მოქ. ხოჯსონის გასაცილებლად სადგურზე მოვიდნენ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარიატის რწმუნებული ამიერ-კავკასიაში ამხ. კარკლინი, გერმანიის მთავარი კონსული [illegible] და იტალიის მთავარი კონსულის მოვალეობის აღმასრულებელი თბილისში მოქ. [illegible].

გამგზავრების წინ მოქ. ხოჯსონმა სთხოვა ამხ. კარკლინს გადაეცა მისი [illegible] მადლობა ამიერ-კავკასიის და საქართველოს ს. რესპ. მთავრობათათვის იმ მეგობრულ მიღებისათვის, რომელსაც ის ხვდა [illegible] და საქართველოში თავისი ყოფნის დროს.

[illegible]—სთქვა მოქ. ხოჯსონმა—[illegible].

მოქ. ხოჯსონმა ამხ. კარკლინს გადასცა 100 მანეთი და სთხოვა გადაეცა ის საქართველოს ცაკთან არსებულ ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესების კომისიას.

მოქ. ხოჯსონმა გაატარა თბილისში 7 დღე.

ჭიათურიდან მოქ. ხოჯსონი გაემგზავრება ბათუმში და იქიდან კი [illegible].

პარტიული ცხოვრება

ქალთა შორის მუშაობის გაძლიერებისათვის

ჩვენი პარტიის ერთ-ერთ ამოცანას ქალთა შორის მუშაობა წარმოადგენს. პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის დღიდანვე ქალთა ყოველგვარი სოციალური დამორჩილებისაგან განთავისუფლებას, მამაკაცებთან მათი უფლებათა გათანასწორებას, მათში გათვითცნობიერების გაღრმავებას და ქალთა შრომის დაცვას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა.

ამხ. ლენინმა სრულიად გარკვევით განსაზღვრა ქალთა როლი სოციალისტურ აღმშენებლობაში როცა ამბობდა, რომ სოციალიზმის გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ ქალის მონაწილეობით, რომ ყოველ მზარეულმაც კი უნდა ისწავლოს სოციალისტური სახელმწიფოს შენება და სხვ.

მიუხედავათ ამისა, ქალთა შორის მუშაობა ჯერჯერობით ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. განსაკუთრებით მოიკოჭლებს გლეხ-ქალებში მუშაობა. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია გლეხი ქალების საზოგადოებრივ და პარტიულ მუშაობაში ჩაბმა. იშვიათ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს სოფლად ქალი, რომელიც ერთგვარ აქტიობას იჩენდეს. ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ აქამდის პარტია ამას ვერ აქცევდა საჭირო ყურადღებას, და ქალთა შორის მუშაობა ერთიანად ქალთა განყოფილების საქმედ იყო მიჩნეული. ამ ჟამად პარტიის მე-14 კონფერენციამ ქალთა შორის მუშაობის გაღრმავება გადაუდებელ ამოცანად დასახა და იგი პარტიის საქმედაც აღიარა.

მორიგი ამოცანები, რომლებიც სოფლად ქალთა შორის მუშაობის პროცესში უნდა განხორციელდეს, შემდეგია: 1) უნდა მოხდეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, 2) უნდა შევაგნებინოთ ქალებს, რომ ისინიც ისეთივე თანასწორუფლებიანი მოქალაქეები არიან, როგორც მამაკაცები და ამიტომ მათთან ერთად უნდა ეწეოდენ სოციალისტურ აღმშენებლობას, 3) უნდა ჩავაბათ ისინი მთელი რიგი პრაქტიკულ საქმიანობებში როგორიცაა საბჭოთა დაწესებულებანი, კოოპერაცია, პარტიული მუშაობა, კულტურული ორგანიზაციები და სხვადასხვა წრეები.

მაგრამ გლეხი ქალებს ამა თუ იმ სამუშაოებზე გაგზავნის დროს საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე, რომ ის გაგზავნილი იქნეს იქ, სადაც მას მეტი ხალისი აქვს მუშაობის. ამავე დროს საჭიროა ერთგვარი მზრუნველობა აღმოუჩინოთ პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაბმულ გამოუცდელ გლეხ-ქალს და სათანადო რჩევითა და დარიგებით გავამაგროთ ივი.

თუ ჩვენ გვინდა სოფლის ცხოვრების განახლება, უმთავრესად გლეხი ქალების ცხოვრების გადახალისებიდან უნდა დავიწყოთ. თუ ჩვენ შევძლებთ გლეხი ქალების საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმას და უფრო აქტიური ნაწილის პარტიასთან დაახლოვებას, ჩვენი სოფლის კომუჯრედები მოწინავე გლეხი ქალების სახით შეიძენენ საიმედო და აქტიურ მუშაკებს.

ა. გარლამისძე.

ა.-კ. ფინსახკომის კომუჯრედი № 32

ამას წინად შესდგა ა/კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს კომუჯრედის № 32 მორიგი ღია სხდომა, რომელსაც დაესწრნენ როგორც პარტიული და კომკავშირელი ამხანაგები, ისე უპარტიო ამხანაგებიც.

დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი: ამხ. ათაბეგოვის მოხსენება მე-14 პარტკონფერენციას შედეგების შესახებ. მოხსენების გარშემო კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„კომუჯრედის № 32 ღია სხდომა, მოისმინა რა მოხსენება მე-14 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ, აღიარებს რომ კონფერენციის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებით, ჩვენ სავსებით უზრუნველვყოფთ პროლეტარული რევოლიუციის და სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას."

პარტკორი შიგა.

ცენტრ. პარტსკოლის კომუჯრედის მუშაობა

1923 წ., სწორედ იმ დროს, როდესაც დაარსდა ცენტრალური პარტიული სკოლა, ადგილობრივად ჩამოყალიბდა კომუჯრედიც, რომელიც პირველ ხანებში აერთიანებდა მხოლოდ პარტიის 13 წევრს.

შეიძლება ითქვას, რომ არსებითად შეიცვალა მდგომარეობა მეორე სასწავლო წელს. ამჟამად კომუჯრედი თავის რიგებში ითვლის პარტიის 48 წევრს და 4 კანდიდატს. ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ უკანასკნელ ხანებში უჯრედის მუშაობაც საგრძნობლად გამოცხოველდა. კომუჯრედის ბიურო გამომუშავებულ გეგმის თანახმად თვითეულ წევრს ავალებდა ამა თუ იმ საჭირბოროტო ხასიათის საკითხებზე მოხსენებების გაკეთებას. იმ მიზნით, რომ ჩვენი უჯრედი გაცნობოდა, თუ როგორ მუშაობენ სხვა უჯრედები, გამოყოფილ იქნა წარმომადგენლები პარტსკოლასთან ახლო მყოფ უჯრედების სხდომებზე დასასწრებლად.

კომუჯრედმა კომკავშირის უჯრედთან ერთად აგრეთვე აიღო შეფობა [illegible] სოფ. სკრაზე და ქ. თბილისშივე აღმშენებელთა კავშირზე, სადაც საშეფო კომისია დაუღალავ და დიდ ენერგიულ მუშაობას აწარმოებს.

რაც შეეხება უპარტიოთა შორის მუშაობას, კომუჯრედის მიერ დაარსებული იქნა პოლიტწრე, რომელშიაც პარტიული და კომკავშირელ ამხანაგებს გარდა, უპარტიო ამხანაგების საკმაო რაოდენობაც არის ჩაბმული.

ქრ. კოხტაშვილი.

ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა

ბავშვთა მოძრაობა ჩვენში ფართო ხასიათს ღებულობს. ამჟამად პიონერთა ორგანიზაცია საქართველოს მასშტაბით აერთიანებს 35.000 წევრს.

საქართველოს კომკავშირის მეშვიდე ყრილობის ლოზუნგი „თითო პიონერი თითო კომკავშირელს" უკვე უზრუნველყოფილია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დღესაც ნორჩ თაობაში დიდი მისწრაფება არის პიონერთა ორგანიზაციაში მუშაობისადმი, ასე რომ პიონერთა ორგანიზაცია დღითიდღე იზრდება რიცხვობრივად. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ორგანიზაცია ადგილებზე ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული. თვით ჩვენი ადგილებზე მომუშავე ამხანაგებიც არ არიან სათანადოთ გარკვეული ამ ახალი ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებში.

ამ ოციოდე დღის წინად ქ. თბილისში შესდგა პიონერთა შორის მომუშავეთა თათბირი, რომელსაც დაესწრენ ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის საშაზრო ბიუროს თავმჯდომარეები. მეტად საინტერესო იყო ადგილებიდან გაკეთებული მოხსენებები, სადაც გარკვევით აღნიშნული იყო ჩატარებული მუშაობის როგორც მიღწევები, ისე მთელი რიგი ნაკლულოვანებებისა.

მთავარი, რაშიაც მოვისუსტებთ, ეს არის, პიონერთა ორგანიზაციისთვის მომზადებული ხელმძღვანელი მუშაკების კადრის უქონლობა. მაშინ, როდესაც პიონერთა ორგანიზაცია დღითიდღე იზრდება, ხელმძღვანელი კადრი (განსაკუთრებით ინსტრუქტორები) არ არის საკმაოდ მომზადებული და ამ ნიადაგზე მთელ რიგ მაზრებში მუშაობა საგრძნობლად ფერხდება. ჩვენ ვფიქრობთ, აუცილებლად საჭიროა პიონერთა ორგანიზაციის ინსტრუქტორთა კადრის მოსამზადებელი კურსების მოწყობა. ამას გვიკარნახებს ისიც, რომ მთელ რიგ ადგილებზე პიონერთა ორგანიზაცია სრულიად თავისებურად ვითარდება.

მეორე გარემოება, რომელსაც აუცილებლად ბოლო უნდა მოეღოს, მდგომარეობს შემდეგში: ბავშვთა კოლექტივები, რომლებიც პიონერთა ორგანიზაციის, ერთგვარ უჯრედებს წარმოადგენენ სუსტად არიან დაკავშირებული კომკავშირის უჯრედებთან და ზოგან ასეთი კავშირი სრულიადაც გაწყვეტილია. ამ ნაკლის გამოსწორებას აუცილებლად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ერთ-ერთი იდეური ხელმძღვანელი პიონერთა ორგანიზაციისა არის კომკავშირი და ეს დანიშნულება კომკავშირმა ღირსეულად უნდა შეასრულოს. ბ. კ. ო. საშაზრო ბიურო, თუ მას დახმარება არ აღმოუჩინეს ადგილებზე მომუშავე კომკავშირელ ამხანაგებმა, ბევრს ვერაფერს გააკეთებს.

ყველა ზემოთქმულიდან ასეთი დასკვნის გამოყვანა შეიძლება: 1. უნდა გაძლიერებულ იქნას პიონერთა შორის მომუშავეთა კადრი და 2. კომკავშირმა უნდა გააფართოვოს პიონერთა ორგანიზაციაზე უშუალო ხელმძღვანელობის სფერო.

ქ. წალენჯიხელი.

საქართ. ექიმთა მესამე კონგრესი

მეორე დღე

თავმჯდომარეობს [illegible] პროფ. მუხაძე.

დღის წესრიგის წაკითხვის შემდეგ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ექ. ა. წულუკიძეს.

ექ. წულუკიძის მოხსენება

ექ. წულუკიძე მოხსენებას აკეთებს თირკმელის ([illegible]) ჭლექის ამოცნობის ახალ მეთოდების შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საქართველოში ძალიან გავრცელებულია ჭლექი სხვადასხვა ფორმითაა, როგორც კერძო გამოხატულება, იგი გვხვდება აგრეთვე თირკმელში. წინათ, სანამ თირკმლების გასინჯვის თანამედროვე საშუალებებს არ იცნობდენ, თირკმლის ჭლექი იშვიათად ყოფილა აღნიშნული, მაგრამ მას შემდეგ, რაც სახ. უნივერსიტეტის ჰოსპიტალურ ქირურგიის კლინიკასთან მოეწყო სპეციალური განყოფილება - კაბინეტი, სადაც შარდ-სასქესო ორგანოების გამოკვლევა სწარმოებს თანამედროვე გაუმჯობესებულ მეთოდებით, თირკმელის ჭლექს შემთხვევებმაც იმატა. თირკმელის ჭლექის ამოსაცნობად საჭიროა სამი მთავარი ნიშანი: ჩირქი, შარდის გამოყოფის [illegible] მოშლა და ტუბერკულიოზის ბაცილების აღმოჩენა შარდში. იმის გამოსარკვევად, თუ რომელი თირკმელი დაავადებული, მარჯვენა თუ მარცხენა, არსებობს ე. წ. ცისტოსკოპიის მეთოდი. გარდა ამისა თირკმელის ჭლექის აღმოსაჩენად მიმართავენ თირკმელების ფუნქციის გამოკვლევას, რენტგენის სურათის გადაღებას და კერძოთ თირკმელების ფიალების გამუქებას (პიელოგრაფიას), შარდის მიკროსკოპიულ გასინჯვას და ბოლოს შარდის ნალექის შეშხაპუნებას ზღვის გოჭებისათვის (თუ არის ჭლექის ბაცილები, შარდის ნალექის შეშხაპუნება გამოიწვევს ზღვის გოჭების დაავადებას).

მომხსენებელს მისცეს დიდძალი შეკითხვები, რომელზედაც მან დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

პროფ. მუხაძე აღნიშნავს, რომ ექ. წულუკიძის მოხსენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან საქართველოში თირკმელების ჭლექი არც ისე იშვიათი მოვლენაა და მისი თავის დროზე ამოცნობა მოხსენებაში აღნიშნული მეთოდებით ააშორებს ხოლმე ავადმყოფს ყოველგვარ გართულებას ამ ნიადაგზე, თუ რომელიმე თირკმელის დაავადება თავის დროზე იქნა ამოცნობილი, მას ამოკვეთავენ და ავადმყოფობა აღარ გავრცელდება სხვა ორგანოებზე და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მეორე საღ თირკმელზე. პროფესორი გამოსთქვამს სურვილს, რათა ეს ამოსაცნობი საშუალებანი ფართოდ იქნას გავრცელებული ჩვენში, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს ხალხს.

პროფ. კახიანის მოხსენება

პროფ. კახიანის მოხსენება შეეხება ჭლექის წამლობას იოდ-იოდოფორმით. ასეთი წამლობას მიმართავენ მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმე აქვთ ე. წ. ქირურგიულ ტუბერკულიოზთან, როდესაც ტუბერკულიოზი ადგილობრივადაა გამოხატული. პროფ. კახიანის კლინიკაში ყოფილა რამდენიმე შემთხვევა ასეთი დაავადებისა (სახსრების ტუბერკულიოზი, ჯირკვლების ტუბერკულიოზი და სხვ.), როდესაც იოდ-იოდოფორმის ემულსიის შეშხაპუნებით მიუღიათ ავადმყოფის მდგომარეობის გაუმჯობესება. მომხსენებელი დაწვრილებით აღნიშნავს, თუ როგორ და რა პირობებში უნდა იქნას ხმარებული ასეთი წამლობის წესი და ბოლოს დაასკვნის, რომ ასეთ წესს იოდ-იოდოფორმით წამლობისას, რომელიც კიდევ მოითხოვს დაკვირვებას და მეცნიერულ შესწავლას, დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ჩვენი სოფლისთვის, როგორც ადვილად მისაწვდომ და შესასრულებელ საშუალებას.

პატარა ფელეტონი

ფრანკები და რიფები ანუ მგელი და კრავი

ფრანგული გაზეთები აცხადებენ, რომ რიფები თავს დაგვესხნენ და ჩვენც იძულებული ვართ მათგან თავი დავიფაროთო.

(გაზეთებიდან).

აქ სხვა იგავს მე
არ აღმოვიყვან
არც, ვით სათასმე,
ენას არ ვიფხან.

„კრილოვის კრავი,
კრილოვის მგელი“—
არის იგავი,
საკმაოთ ვრცელი!

თუ ემატება
ამას „მატენი“,
არც წარმატება
არის ამდენი,

რომ იგი დიდათ
გავაზვიადო
და გზათ და ხიდათ
ის გავიხადო!

ამ გზით ერთ საჟენს
ვერც მე წინ წავალი
და ველარც „მატენს“
ჰკუას ვასწავლი.

მხოლოთ ამ ზომით,
ვფიქრობ, რომ რიფებს
ავიტეხ ომით
და წავიკიდებ...

და მაშინ, ვაჰ, მე,
თუ, ვით „მატენი“,
მეც ცუდი საქმის
ვიქნა ჩამდენი,

და მეც დამჭირდეს
რამე ხრიკები,
რათა გაქვირდეს
ქვეყნად რიფები!..

ონისიმე.

შრომის დაცვის კომისიების კონფერენცია

27 მაისს შესდგა საქარხნო კომიტეტების წარმომადგენელთა და შრომის დაცვის კომისიების გაერთიანებული კონფერენცია. დღის წესრიგში წამოყენებული იყო შემდეგი საკითხები: 1) ახალი დებულება შრომის დაცვის კომისიების შესახებ, 2) თბილისის დამზღვევი კასის 6 თვის მუშაობის ანგარიში, 3) სამკურნალო ქვე-განყოფილების საქმიანობა.

ახალი დებულება შრომის დაცვის კომისიების შესახებ

(მომხსენებელი ამხ. ელბაქიანი)

აქამდე საქარხნო კომიტეტებთან არსებულ შრომის დაცვის კომისიებს,—ამბობს მომხსენებელი არ ჰქონდათ გარკვეული დებულება, რის გამოც კომისიებს რიგიანათ არ ესმოდათ თავისი ფუნქციები. ამ უკანასკნელ ხანებში საქართველოს პროფსაბჭომ გამოიმუშავა კომისიებისათვის დებულება, რომელიც აყალიბებს კომისიებს და საზღვრავს მათ მოქმედების ფარგლებს.

დებულებაში ჩამოთვლილია ის საკითხები, რომელიც უნდა განიხილოს და გადაჭრას შრომის დაცვის კომისიებმა ადგილებზე. მაგრამ შრომის დაცვასთან დაკავშირებული ყველა საკითხის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია, ამიტომ საჭიროა ადგილობრივ მუშაკთა ინიციატივა ამ პროფმუშაობაში ჩაბმა, რომ თვითონ შესძლონ ახალი საკითხების წამოყენება, დებულებაში ჩამოთვლილი საკითხების შევსება. დებულების ძალით შრომის დაცვის კომისიები მჭიდროთ უნდა დაუკავშირდნენ შრომის ინსპექციის ორგანოებს. დასასრულ მომხსენებელი საჭიროთ სთვლის დაუყოვნებლივ მოხდეს ამ დებულების მიხედვით შრომის დაცვის კომისიების გადახალისება.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კონფერენცია ადგენს გაატაროს დებულება ცხოვრებაში, რისთვისაც საჭიროა მოწვეულ იქნას პროფკავშირთა რაიონული კონფერენციები.

თბილისის დამზღვევი კასის 6 თვის საქმიანობა

(მომხსენებელი ამხ. ცომაია)

მომხსენებელი უმთავრესად შეეხო დამზღვევი კასის ფინანსიურ მდგომარეობას.

ხარჯთაღრიცხვით 6 თვის განმავლობაში ოქტომბრიდან-აპრილამდე თბილისის კასაში უნდა შემოსულიყო 1.147.366 მანეთი; ნამდვილად შემოვიდა მეტი—1,238.057 მან. ნავარაუდევზე ამდენით გადაჭარბების მიზეზი არის დაზღვეულთა რიცხვის გადიდება.

ფინანსიური მდგომარეობის განმტკიცებამ შესაძლებელი გახადა დახმარების ნორმის გადიდება, რის გამოც გაიზარდა გასავალი, თუ 1924 წლის პირველ მეოთხედში თანხების სახით გამოსული იყო სულ 10.714 მანეთი, ხოლო იმავე წლის მეორე მეოთხედში—12.260 მანეთი, მიმდინარე საანგარიშო წლის პირველ მეოთხედში მიცემულია—14,619 მანეთი, მეორე მეოთხედში კი 17.027 მანეთი. მშობიარობის დროს, გასვენებისთვის, მუდმივ მკურნალობისთვის. დახმარების გაცემის გარდა, დამზღვევი კასა ეხმარებოდა ფულით უმუშევრებს და პენსიონერებს.

სამკურნალო ქვეგანყოფილების მუშაობა

(მომხსენებელი ექ. წულეისკირი).

1924—25 წლის ოქტომბრიდან—აპრილამდე ამბულატორიაში გატარდა 113.326 დაზღვეული; ამასთანავე აღსანიშნავია, სოციალურ ავადმყოფობათა შესამჩნევი შემცირება. გასულ წელს ამბულატორიაში გავლილ ყველა ავადმყოფების საერთო რაოდენობის 12,45 პროცენტს შეადგენდენ სოციალური ავადმყოფობითი შეპყრობილნი, მიმდინარე წელს კი მხოლოდ 9,13 პროც.

სახლში დახმარება მიეცა 90.009 დაზღვეულს, სტაციონალური დახმარება საავადმყოფოებში—5.746 დაზღვეულს.

რენტგენის კაბინეტით უსარგებლია 599 კაცს. კონსულტაცია გაუწევია 1,937 ბავშვს. შინ სახლში დახმარება გაეწია 2.406 ბავშვს. ქვეგანყოფილებას თბილისში აქვს სასპორტო სამედიცინო დარბაზი „სანიტასი“, სადაც 978 ბავშვი ვარჯიშობს. ამ უკანასკნელთ ეძლეოდათ აგრეთვე ლაბორატორიული დახმარება.

ა-კ. რკინისგზელთა პროფსაბჭოს მესამე პლენუმი

მე-8 სხდომა

კამათი „ზაკტპო“-ს მუშაობის გარშემო.

ამხ. აკიმოვის მოხსენებამ, „ზაკტპოს“ საქმიანობის შესახებ, გამოიწვია გაცხოველებული კამათი.

ამხ გულიანმა აღნიშნა მტკიცეთ ჩამოყალიბებული შტატის უყოლობა. ამხ. გრიგორიანმა საჭიროდ აღიარა „ზაკტპოს“ მუშაობის გაფართოება გზაზე. ამხ. სადიხი „ზაკტპოს“ გამგეობას უსაყვედურებს შესაფერი ზომების მიუღებლობას ბოროტმოქმედებებთან ბრძოლაში. შემდეგ ორატორი მოითხოვს მუშების უფრო ფართო დაკმაყოფილებას აღმოსავლეთის ხაზზე.

ამათ გარდა კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. გოგიბერიძემ, გოგოლაძემ, ზუევმა და სხვა, რომელთაც ხაზი გაუსვეს ხაზის მუშების დაკმაყოფილების საქმეს.

ამხ. აკიმოვი თავის საბოლოო სიტყვაში ადასტურებს რა ორატორთაგან აღნიშნულ შეცდომებს, გამოსთქვამს იმედს, რომ მალე ეს შეცდომები აღკვეთილი და გამოსწორებული იქნებაო.

ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციის მუშაობა.

(მომხსენებელი ინჟ. კ. ლანდა)

ინჟინერ-ტეხნიკურ ძალთა სექცია ამ უკანასკნელ ხანებში, ამბობს მომხსენებელი, საკმაოდ განმტკიცდა. მიუხედავად ცუდი პირობებისა, სექციამ მაინც შესძლო იმ ამოცანების შესრულება, რომელიც მას დასახული ჰქონდა. სექციის წევრთა მეორე ყრილობის შემდეგ გამოგონებათა ხელის შეწყობის საქმე წესიერ კალაპოტში ჩადგა. სათანადო ლიტერატურის უქონლობის გამო, ჩვენი ტეხნიკური მუშაკებისათვის უცნობი იყო ახალი ტეხნიკური მიღწევები. ამჟამად ლიტერატურის მიწოდების საქმე მოგვარებულია. სექცია ცენტრალურ ორგანოებიდან ღებულობს ფინანსიურ დახმარებას, რაც საშუალებას აძლევს მას თავის მოქმედება კიდევ უფრო გააფართოვოს. სექცია აუცილებლად საჭიროებს პროფორგანოების დახმარებას.

მოხსენებამ გამოიწვია კამათი. ორატორები უსაყვედურებდენ სექციას სუსტ კავშირს მუშათა მასსებთან.

უკანასკნელი სხდომა.

უკანასკნელ სხდომაზე პლენუმმა მოისმინა თეზისები და რეზოლიუციები წაკითხულ მოხსენებათა გარშემო. პლენუმმა მცირე შესწორებებით და ცვლილებით რეზოლიუციები ერთხმად მიიღო. პლენუმის უკანასკნელი სხდომა „ინტერნაციონალის“ მღერით იხურება.

განათლების ფრონტზე

ბავშვთა კომუნისტურ აღზრდის სახლი.

განათლების კომისარიატს განზრახული აქვს მოკლე ხანში დაარსოს კომუნისტური აღზრდის საცდელ-საჩვენებელი საბავშვო სახლი, რომლის მიზანია კომუნისტური აღზრდის საფუძვლების განმტკიცება ბავშვებში. საბავშვო სახლი მოწყობილი იქნება 200 ბავშვისათვის. აგრეთვე სახლი, როგორც საცდელ-საჩვენებელი დაწესებულება და პედაგოგიური ლაბორატორია მოაწყობს და გააერთიანებს თბილისის და პროვინციის საბავშვო სახლების პედაგოგიურ მუშაობას ცოცხალი კავშირის გაბმით და პერიოდულ გამოცემების საშუალებით.

სწავლა-განათლების საქმე ბორჩალოს მაზრაში.

ბორჩალოს მაზრის განათლების განყოფილება სასწავლო წლის დასრულებისთანავე შეუდგება მაზრაში სკოლების საფუძვლიან შეკეთებას და სასწავლო ნივთების შეძენას

დეფექტიურ ბავშვთა მდგომარეობა.

უზნეო მცირეწლოვან ბავშვთა დაცვის განყოფილებამ თავის მუშაობის 4 წლის განმავლობაში გაარჩია 3147 საქმე, აქედან ბრალი ედებოდათ 3726 ბავშვს. მათ შორის 3502 ვაჟია და ქალი კი 224.

ბრალი ედებოდა: გაუსწორებელ ქურდობაში—348 ბავშვს, უზნეობაში—948 ბავშვს, სხვადასხვა ბოროტმოქმედების ჩადენის განზრახვაში—181 ბავშვს, ქურდობაში-1749 ბავშვს. გაუსწორებელ ყოფა-ქცევის არიან 500 ბავშვი.

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დასაცავათ.

სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილებამ დაუგზავნა ინსტრუქციები და ცაკის დადგენილებები მაზრებში აღმასკომებს თემსაბჭოებისათვის გადასაცემათ სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საქმეში სახელმძღვანელოთ.

მეცნიერება და ტეხნიკა

სამყაროს ცენტრი

ჰოლანდიელმა ასტრონომმა პანეკუკმა გამოიანგარიშა, რომ სამყაროს ცენტრი უნდა იმყოფებოდეს მარლორქს კრებულში. ეს ცენტრი ჩვენი მზის სისტემიდან დაშორებულია 7000 პარსეკით. პარსეკი არის ასტრონომიული ზომის ერთეული, რომელიც შეიცავს სამს და ერთ მეოთხედ სინათლის წელიწადს. სინათლის წელიწადი არის მანძილი, რომელსაც გაივლის სინათლის სხივი ერთი წლის განმავლობაში. ამ მანძილის შესახებ ჩვენ წარმოდგენა გვექნება, თუ გავიხსენებთ, რომ სინათლე ერთ წამში გაივლის 300.000 კილომეტრს. ამრიგათ მსოფლიოს ცენტრი ჩვენი მზის სისტემისგან იმყოფება ისეთ მანძილზე, რომლის გასავლელათ სინათლის სხივს დასჭირდება 2,275 წელიწადი.

დამაგნიტებული ყუმბარები.

ფრანგულ და ამერიკულ გაზეთებში ბევრს სწერენ მნიშვნელოვანი გამოგონების შესახებ, რომელსაც საიდუმლოდ ინახავს ინგლისის მთავრობა. ამ გაზეთების ცნობით, ინგლისის საავიაციო სამინისტრო აპირებს ცდების მოხდენას ახლად გამოგონებულ ყუმბარებზე, რომლებიც დანიშნული არიან სპეციალურად ჰაეროპლანებისათვის დასაშენად. ყუმბარები დამაგნიტებული არიან და არავითარ შემთხვევაში არ ასცდებიან ნიშანს რადგან მათ იზიდავს ჰაეროპლანის ლითონის ნაწილები.

ახალი გაზი

აღმოაჩინეს ახალი გაზი, რომელიც თავის მოქმედების სიძლიერით 50-ჯერ სჭარბობს იმ გაზებს, რომლებსაც ომის დროს ხმარობდნენ. გენერალი ამოს ფრისი, ამერიკის არმიის ქიმიური განყოფილების უფროსი, რომელმაც ეს გაზი აღმოაჩინა, ამტკიცებს, რომ ამ გაზის ტალღებით, როგორც გაუვალი კედლით, შეიძლება შემოირაგვოს ყოველი დაცული ადგილი და ჰაეროპლანებიც კი ვერ მიაყენებენ ზიანს ჯარებსო.

უდიდესი გვირაბი

შეერთებულ შტატებში დაამთავრეს აშენება უდიდესი გვირაბის, რომლის სიგრძე უდრის 2.761 მეტრს ესე იგი 2000 მეტრით უფრო გრძელი ვიდრე სიმპლონის გვირაბი, რომელიც უდიდესად ითვლებოდა დღემდი მთელს მსოფლიოში.

მუშაობა ამ გვირაბის გასათხრელად 4 წელი სწარმოებდა.

პატარა ფელეტონის მაგიერ

ერთი სკოლისა და წისქვილის თავგადასავალი

—„ქალაქ თბილისში მივდივარ, საქმეს გავიგებ კარგსაო“,—მიიმღეროდა ურემზე მჯდომი მიხა „ალხევან წავალ მარილზე მარილს მოვიტან ბროლსაო“-ს ხმაზედ.

—გამარჯობა მიხას, სად მიხვალ, ბიჭო, მაგ ცარიელ ურმითა—შეისალმა ფეხით მიმავალი მგზავრი, როდესაც ეს უკანასკნელი ურემს წამოეწია.

— ოოჰო, ოოჰო, ლომა კამეჩებო! გაგიმარჯოს;—დინჯათ, აუჩქარებლათ მიუგო პასუხი მიხამ, როდესაც მან ურემი დააყენა,—ბიჭო, დათიკო, შენა ხარ? რა დაგემართა კაცო, ერთხელ არსად გადმოიარე ჩვენ სოფელში, პურ-მარილი დაივიწყე, არ ვარგა ეგრე, თორემ შენ იცი! მე ქალაქში მივდივარ, შენ სადღა მიხვალ?

— მეც ქალაქში მივდივარ, კარგია რომ შევხვდით ერთმანეთსა—ერთად ვიმგზავრებთ—უპასუხა დათიკომ. შვილი მინდა ვნახო, კაცო, იმ ოჯახ-დაქცეულმა აღარსად გაიარა სახლში. შენა, მიხა, ემაგ ცარიელი ურმით რომ მიდიხარ, გეტყობა საყიდელი გექნება რამე, ან ქირაზე ხომ არ მიხვალ?

— არც რამე საყიდელი მაქვს, არც ქირაზე და არც ცარიელი მივდივარ!

— როგორ, კაცო,—გაიკვირვა დათიკომ,—ე მაგ ურემზე ხურჯინის მეტი არაფერი ჩანს და იძახი კი, რომ ცარიელი არ მივდივარო, და დასარწმუნებლად კიდევ გადახედა ურემს, მაგრამ მართლაც ურემზე, გარდა ხურჯინისა, არაფერი არა ჩანდა.

— ეე, ჩემო დათიკო, რომ იცოდე მაგ ხურჯინში რამოდენა და რა მძიმე საქმეები აწყვია—იტყვი და გაგიკვირდება ულელი კამეჩი როგორ ერევაო!

დათიკო სერიოზულათ დაფიქრდა, ახედ-დახედა და გაშტერებული დააცქერდა მიხას: რა ვქნა—ეს კაცი ხომ არ გაგიჟებულა, რას ამბობს, რა მძიმე საქმეები, რა ხურჯინით; მაგრამ მიხას არაფერი სიგიჟისა არ ეტყობოდა, პირიქით ის არხეინათ იღიმებოდა.

— ბიჭო მიხა, გამაგებინე, რა მძიმე საქმეებზე ლაპარაკობ, რას ამბობ, რა გიწყვია განა მაგ ხურჯინში, რომ მაგისთანა ფალავან კამეჩებს აცდენ?

— ამ ხურჯინში, ჩემო დათიკო, დევს ერთი სკოლა და ერთი წისქვილი. სკოლა, გაიგე, სადაც ჩვენ შვილებს ასწავლიან და წისქვილი, სადაც პურსა ფქვავენ—მიხვდი? აუხსნა მიხამ და მიაცქერდა თვალებდაჭყეტილ დათიკოს. თანაც მიხა გადმოხტა ურმიდან და ორთავენი ფეხით აედევნენ ურემს. ნუ გიკვირს ჩემო დათიკო, და ნურც სულელათ ჩამთვლი, რადგანაც შეატყო, რომ დათიკო გაშტერებული სახტათ დარჩენილი მისცქეროდა მას;—აი, აგიხსნი საქმის გარემოებას და სუყველაფერს გაიგებ.

— მითხარი, გამაგებინე, რაშია საქმე?

— ჩვენი სოფელი, მჭადიჯვარი, ხომ იცი, რომ კაი დიდი სოფელია—დაიწყო მიხამ—ჰო, და, ამ სოფელში გვაქვს სკოლა. ეს სკოლა ჯერ მოთავსებული გვქონდა ერთ კარგ შენობაში. ამ შენობით სარგებლობა სკოლისთვის აგვიკრძალეს. ეს შენობა სახელმწიფო მამულს ეკუთვნის და უნდა დაცალოთო, გვითხრეს. ჩვენც, რა გაეწყობოდა, დავემორჩილეთ და რადგანაც სოფელში სხვა არც რიგიანი შენობა გვქონდა და არც ახალის აშენება შეგვეძლო, სკოლა დროებით მოვათავსეთ ერთ ნახევრათ დანგრეულ შენობაში, სადაც წვიმის დროს ისე ჩადის წყალი, რომ მოწაფენი დაკარწახებულნი დადიან. მასწავლებელი ქოლგით დგას და ისე ასწავლის, მაგრამ მოწაფეებს კი აბა, ქოლგა ვინ მისცა! ძველ კარგ შენობაში კი, რომელიც სახელმწიფო მამულს ეკუთვნოდა, მობრძანდა და ჩასახლდა მამულების გამგე თავისი ცოლით, ორი სული შვიდ ოთახში! დიახ, ჩემო დათიკო, ორმა სულმა დაიჭირა შვიდი ოთახი! ერთი სიტყვით, ხელმწიფესავით ცხოვრობენ! სოფელმა იფიქრა, იფიქრა, ადგა და შეატყობინა მაზრას, დუშეთში, ასე და ასეა ჩვენი საქმე და გვიშველეთო. დუშეთმა არაფერი გვიშველა. რამდენჯერმე ქალაქშიაც ვაფრინეთ კაცები—არაფერი გამოვიდა. ჯავრზე და ბოღმაზე ვსკდებოდით. სკოლაში ბავშვებს წყალი დასდით თავზე და მამულების გამგე—ორი სული-კი შვიდ ოთახში ბრძანდებიან, სადაური სამართალია! ავდექით და აღმასკომმა, კომუჯრედმა, მთელმა სოფელმა, ავწერეთ ეს უკანონობა ქაღალდზე და, აი, ეს არზა მიწყვია ხურჯინში და მიმაქვს ქალაქში ჩასაბარებლად; ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქალაქი ყურადღებას მოგვაქცევს.

— ბიჭო და, მიხა, თუ ეგ კარგი შენობა მამულს ეკუთვნის და შიგ მამულშია აშენებული, ქალაქიც არ გადმოგცემთ, რადგანაც სკოლა ბავშვებით, გააფუჭებენ მამულსა—ჩაეხმაურა დათიკო.

— საქმეც მაგაშია, ჩემო დათიკო, რომ მამული ცალკეა და შენობა ცალკე. გარდა ამისა განა გამგეს ერთი ან ორი ოთახი არ ეყოფოდა? გამგესთვის სხვაგანაც ვიშოვიდით ბინას. სკოლამ რა დააშავა?

— კარგი და პატიოსანი, მერე, წისქვილი რაღაა, დაეკითხა დათიკო.

— წისქვილი-კი არაფერი, წისქვილიდან-კი არაფერი გამოვა—განაგრძო მიხამ,—რადგანაც ეს წისქვილი, როგორც წისქვილი აღარ არსებობს, დაინგრა, გაოხრდა და შენ-კი იცი, რომ ეს წისქვილი ძვირფასი რამ იყო. ეს წისქვილი ხომ ჩვენ უბრალო, ქართულ წისქვილს არა ჰგავდა, ეს მექანიკური წისქვილი იყო, ხომ გახსოვს?

— როგორ არ მახსოვს,—მიუგო დათიკომ—ეს ერთი წისქვილი რამდენიმე სოფელსა ჰყოფნიდა—ესეც სახელმწიფო მამულს ეკუთვნოდა, მერე რა მოხდა?

— რა მოხდა და ის მოხდა, რომ ეს წისქვილი, როგორც გითხარი, დაინგრა, გაოხრდა... ეს ორი წელიწადია სოფელი ვთხოულობდით ეს წისქვილი ჩვენთვის გადმოეცათ, აღმასკომისათვის, ან გლეხკომისათვის და ვერაფერს გავხდით, ვერც მაზრაში, დუშეთში და ვერც ქალაქში, არც ჩვენ მოგვცეს, ვერც თვითონ მოუარეს და დანგრეულ-გაოხრებულ წისქვილს გლეხკაცობა აივლის და ჩაუვლის ოხვრითა და თავის ქნევითა—„რა წისქვილი გაოხრესო“—იძახიან გლეხები. აი, ეს საქმეც ავწერეთ არზაში და მიმაქვს ქალაქში ხურჯინითა!

— ეგ ყველაფერი კარგი, ჩემო მიხა, მაგრამ მაგ ქაღალდებს უბეში ვერ ჩაიწყობდი და ისე ვერ წამოიღებდი ქალაქში? ურემსა და ემაგ კამეჩებს რაზე აცდენ? შეეკითხა დათიკო.

— კაცო, რა დაგემართა, ეხლაც ვერ გაიგე, რამოდენა საქმეებზე არის ლაპარაკი. იმოდენა სკოლის შენობას და წისქვილს უბით როგორ მოვერეოდი, რას ამბობ?

— მართალი ხარ, ჩემო მიხა, მართალი! ამასთანავე დათიკომ სტაცა ხელი ერთ-ერთ ჩირგვსა, გამოსტეხა სახრე, ამოუდგა ურმის მეორე მხარეს და იმანაც შემოსძახა:

— „ქალაქ თბილისში მივდივარ საქმეს გავიგებ კარგსაო“...

სანდრო იაშვილი.

ქართული შრიფტის რეფორმა

გუშინ ამხ. დ. კანდელაკის (განათლების კომისარიატი) კაბინეტში შესდგა კომპარტიის პასუხისმგებელ მუშაკთა, მწერლობის, პრესის გამომცემლობათა და პოლიგრაფიის წარმომადგენლების და განათლების პასუხისმგებელ მუშაკთა კრება, რომელზეც მხატვარ დ. შევარდნაძემ მოხსენება გააკეთა ქართული შრიფტის განზრახული რეფორმისა და ამ საქმეში მის მიერ საქართველოს სახკომსაბჭოს დავალებით წარმოებული მუშაობის შედეგების შესახებ.

გამოირკვა, რომ მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ვარიანტი ქართული შრიფტისა შეიცავს დიდ უპირატესობას არსებულთან შედარებით. ის უფრო პრაქტიკულია, მიღწეული იქნება დიდი ეკონომია და იმავე დროს, ზოგი ასოების მოხაზულობის შემცირებით და ანბანის კორპუსის ერთიანობის დაცვით, მიღწეული იქნება უკეთესი გარკვეულობა შრიფტში.

კრებამ, მოიწონა რა პრინციპი ვარიანტისა, დაადგინა მოეწყოს განათლების კომისარიატთან, ამხ. დ. კანდელაკის თავმჯდომარეობითა და მხატვარ დ. შევარდნაძის მონაწილეობით, კომისია, რომელიც გააგრძელებს მუშაობას წარმოდგენილი პროექტის დეტალურათ შესამუშავებლათ, რათა ახლო მომავალში შესაძლებელი შეიქნეს მისი განხორციელება.

ქრონიკა

— **დასასვენებელი დღეების შესახებ.** შრომის სახ. კომისარიატის დადგენილება (№ 14) დასასვენებელ დღეების შესახებ ცხადდება გაუქმებულათ. ამიერიდან დასასვენებელი დღეები ცალკ-ცალკე იქნება გამოცხადებული.

— **ცეკავშირის** კოოპერატიულ კურსებზე ამ ჟამად სწავლობს 170 კაცი.

— **ტყავის გამოწერა.** ტყავტრესტს განზრახული აქვს ამერიკიდან გამოიწეროს 4 ათასი ცალი საძირე ტყავი.

— **გზა-ტკეცილების შეკეთება.** გზა-ტკეცილების სამმართველო შეუდგა ბაღდადის (ქუთაისის მაზრა) გზა-ტკეცილის საფუძვლიან შეკეთებას.

— **სანიტგანათლების გამოფენა წითელ-არმიელთათვის.** წითელ-არმიელთა ცენტრალურ კლუბში 1 ივნისს ქალ. ჯანმრთელობის განყოფილების სანიტგანათლება გახსნის მუდმივ გამოფენას სანიტცოდნის გავრცელების მიზნით. სპეციალისტი ექიმები იქვე წაიკითხავენ ლექციებს.

— **კოოპერატიული რუკა.** ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებამ გამოსცა საქართველოს კოოპერატიული რუკა, რომელიც იძლევა ცეკავშირში შემავალ კოოპერატიულ ორგანიზაციების სრულ სურათს.

— **საბინაო აღმშენებლობისათვის.** ა|კ. ფინსახკომისარიატმა ამიერკავკასიაში მუშათა საბინაო აღმშენებლობის დასახმარებლათ საკავშირო მთავრობიდან გამოითხოვა 2,075 ათასი მანეთი. აქედან საქართველოს მოუწევს 500 ათასი, სომხეთს—270 ათასი და აზერბეიჯანს—1,275 ათასი მან.

— **თათბირი.** ახლო ხანში თბილისში გაიხსნება ა|კავკ. საბინაო კოოპერაციის თათბირი.

— **საზოგადო სამუშაო.** შრომის სახ. კომისარიატმა ვერის დაღმართიდან სამხედრო გზამდე გზატკეცილის საზოგადო სამუშაოზე გაყვანილ მუშების დასაკმაყოფილებლათ გადასდო 15.000 მან.

— **მეაბრეშუმეობისათვის.** მიწადმოქ. სახ. კომისარიატმა გამოსცა დასურათებული პლაკატი მეაბრეშუმეობის შესახებ მეაბრეშუმეთათვის სახელმძღვანელოთ.

— **მინდვრის მავნეებთან მებრძოლ** ბიუროს ცნობით ჩვენში ბამბის ნათესებს ალაგ-ალაგ გაუჩნდა ტილი, რომელიც საფრთხეს უქადის ბამბის მოსავალს.

— **ხოჯსონი შრომის კომისარიატში.** გუშინ რობერტ ხოჯსონი ესტუმრა შრომის სახალხო კომისარს, შემდეგ კი ხოჯსონი შრომის სახ. კომისარიატის ორი პასუხისმგებელ თანამშრომლის თანხლებით წავიდა თბ. ზოგიერთ წარმოებების დასათვალიერებლათ.

— **ახალი ბიულეტენი.** თბ. დამზღვევმა სალარომ გამოსცა ახალი ბიულეტენები, რომლებიც დარიგდება დროებით შრომის უნარდაკარგულ დაზღვეულებს.

— **დახმარება უმუშევრებს.** 30 მაისს თბ. დამზღვევი სალარო მაისის თვის დახმარებას მისცემს იმ დაზღვეულ უმუშევრებს, რომელთაც გამურჩათ თავიანთი რიგი.

— **ქარხნის გადაცემა.** ცეკავშირს განზრახული აქვს სიღნაღში არსებული თამბაქოს ქარხანა გადასცეს ადგილობრივ მუშკოოპს.

— **ექსკურსია.** შაბათს, 30 მაისს, გეოგრ. საზ—ბა აწყობს ექსკურსიას ბეთანიის მონასტერში (17 ვერსი). შეკრება დანიშნულია ქართულ უნივერსიტეტთან შუადღის 4 საათზე. დაბრუნდება მეორე დღეს 8 საათზე.

ხელოვნება

ვ. ანჯაფარიძის საღამოს გამო

ჩვენ არ გვინდა აქ ჩვეულებრივი რეცენზია მოვუძღვნათ ამ საღამოს, ეს არც არის საჭირო, ვინაიდან არავითარ მხატვრულ ღირებულებას ეს საღამო არ წარმოადგენდა, რომ მის შეფასებას შევუდგეთ.

ჯერ თვით პიესის შესახებ. ძალიან გვიკვირს რათ დასჭირდა ნიჭიერ მსახიობქალს ვ. ანჯაფარიძეს ამოერჩია მოძველებული პიესა შპაჟინსკის: „უგვირგვინო მეფენი“. განა მართლა იფიქრა, რომ ორი-სამი წელიწადია, რაც ეს პიესა მოხსნილია რუსთაველის თეატრის რეპერტუარიდან? განა მართლა იფიქრა, რომ ასეთი ძველი პიესის დადგმით და კარგი მსახიობთა მონაწილეობით ვ. ანჯაფარიძეს სურდა ე. წ. „საზოგადოების“ [illegible] მოეგო? მაგრამ ამ შემცდარმა ნაბიჯმა ვერც ნივთიერი გამართლება მოიტანა: თეატრი ნახევრათ ცარიელი იყო. ნათქვამია—ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები მისაღებია, გარდა მოსაწყენისა ამ მხრივ „უგვირგვინო მეფენი“ სრულიათ მიუღებელია. საშინელი მოწყენილობა სუფევს მთელი პიესის მსვლელობის დროს. არის დაუსრულებელი ლაპარაკი მეფეზე, მოურავზე, მათი ამალა-მოსამსახურეებზე და მეტი არაფერი. მეორე მოქმედებაში თითქო „გამოსაცოცხლებლათ“ არის მოყვანილი ჩვეულებრივი ვახშამი „თამადას“ მეთაურობით. ისმება სადღეგრძელოები (როგორც სხვა მრავალ მოხავსებულ პიესებში): ეს „ღმერთმა გაუმარჯოს“.. დედას, დას, სიძეს, სიმამრს და ასე დაუსრულებლათ. სპეციალურათ დაქირავებული დუდუკი, მიპატიჟებული მომღერლები და ბოლოს... ლეკური.

მაგრამ ყოველივე ეს ხომ ხელოვნება არ არის. ეს შეიძლება პირველ ხარისხოვან რესტორანშიც ნახოს ხანდახან მან, ვისაც ეს ესაჭიროება. ახლანდელ მაყურებელს-კი ეს პიესა არაფერს აძლევს. ამისთანა პიესების დადგმა არ ეპატიება არავის, მეტადრე ნიჭიერ მსახიობს.

არა—რეცენზენტი.

P. S. „უგვირგვინო მეფენი“ დამთავრებული არ იყო, რომ აფიშებმა გვაუწყეს: 31 მაისს ნ. ჩხეიძის და ვ. გუნიას მონაწილეობით დადგმული იქნება „ცნობილი“ ისტორიული პიესა: „სამეგრელოს მთავარი ლევანი“. საკვირველია სწორედ, რათ ახსენდებათ ჩვენ მსახიობებს ასე გულმოდგინეთ ეს მეფ-მთავრები!! ნუ თუ 1925 წ. მეტი ვერაფერი გამოიძებნება, გარდა ყოვლათ უნიჭო და უმსგავსო პიესებისა? საჭიროა ასეთი „პიესების“ დადგმას ბოლო მოეღოს.

— „სამეგრელოს მთავარი ლევანი“. კვირას, 31 მაისს, სახელმწ. აკად. ოპერის თეატრში ქართველ მსახიობთა მიერ რესპ. სახალხო მსახიობი ნინო ჩხეიძის და დამსახურ. მსახიობ ვალერ. გუნიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა ვას. ყიფიანისა—„სამეგრელოს მთავარი ლევანი“, დრამა 5 მოქმედ. მთავარ როლებს ასრულებენ: დედოფალი ნინო - ნინო ჩხეიძე, მეფე ლევანი—ვალ. გუნია, დარეჯანი—ან. ქიქოძე, არჩილ—ალ. იმედაშვილი და სხვ.

— „მარიცა“. ხვალ ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება მეორედ თბილისში „მარიცა“ ახალი დადგმით და საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

— „ტარას შევჩენკო“ ეკრანზე. თბილისში ჩამოვიდენ უკრაინის ფოტო-კინოს რეჟისორი ჩარდინინი, ოპერატორი ზავერევი და ადმინისტრატორი გელლერი. კინო-ფილმა „ტარას შევჩენკოს“ ცალკე ეპიზოდების საქართველოს სხვა და სხვა ადგილას გადასაღებათ.

— **სომეხ მსახიობის გევორქ ტერ-დავთიანცის** 50 წლის იუბილე გაიმართება კვირას 31 მაისს, რუსთაველის თეატრში.

დღეს კინოებში:

— აპოლო—„მისი მოწოდება“.
— არფასტო—„ორი ობოლი“.
— მინიონ—„ქალწული ნიღაბში“.
— პალას—„დიადემის გატაცება“.
— თვითმფრინავი—„ცდუნება“.

საბჭოთა სასამართლო

პეტროსოვის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. გლატკოვის თავმჯდომარეობით გაარჩია ივანე კარაპეტისძე პეტროსოვის საქმე. პეტროსოვს ბრალად ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 172 მუხლში გათვალისწინებული დანაშაული—პედერასტობა.

1925 წ. 15 მარტს ქ. თბილისში მელითონეთა კლუბის შენობაში იქაურმა მოსამსახურემ ღარიბოვმა დაინახა, რომ ბრალდებული პეტროსოვი თავგამოდებით ეპატიჟებოდა ორ უცნობ ახალგაზრდა ვაჟს (12—13 წლის) კინოში. გულუბრყვილო ბავშვები დაეთანხმენ და წაყვნენ. როცა სურათის ჩვენების დროს დაბნელდა პარტერში პეტროსოვმა დაუწყო ერთ-ერთ ბავშვს ალერსი და სცადა ის სქესობრივ ორგანოზე დაესვა, მაგრამ ბავშვი ხელიდან გაუსხლტა და გაიქცა, მაშინ გარყვნილი პეტროსოვი მეორე ვაჟს მიუჯდა, მაგრამ ამ დროს მოსამსახურე ღარიბოვმა, რომელიც მას უთვალთვალებდა, იმ წამსვე დააპატიმრებინა ის.

სასამართლოში მოწმეების ჩვენებით დამტკიცდა პეტროსოვის მიმართ წარდგენილი ბრალდება. ბრალდებულს მიუსაჯეს ორი წლით დაპატიმრება წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

შემთხვევები

— **ავტომობილის ქვეშ.** 27 მაისს კომუნალურ ქ. № 40 სახლის წინ ავტომობილმა გასრისა 7 წლის ბავშვი ზარემამიზადე. შოფერი შეიპყრეს.

— **შეპყრობა.** 27 მაისს ქურდობისათვის შეიპყრეს ვინმე ხოსრო სიმვოლინოვი.

— **ცელების ქურდი.** 27 მაისს შეიპყრეს კარაპეტ მინასოვი, რომელმაც დეზერტირების მოედანზე სავაჭროდან № 28 მოიპარა 2 ცელი.

— **მორგებული გასაღების** საშუალებით 27 მაისს გაქურდეს მოქ. აზიზ ავაკოვის ბინა.

— ამავე დღეს ღამით მსროლელთა ქ. № 13 ერასტი ჭავჭანიძის ბინიდან მოიპარეს 480 მან. ნივთები.

— ამავე დღეს ტატიანის ქ. № 6 გრიგოლ მანუკიანცის ბინიდან მოიპარეს 60 მ ნივთები

— ამავე დღეს გაქურდეს ბაბიანის ქ. № 10 დიდო შადიმონოვის ბინა.

მუშათა ცხოვრება

ეს საკითხი უნდა მოვაგვაროთ.

განქორწინების დროს უმრავლეს შემთხვევებში შვილები დედებს რჩებათ. მაგრამ ზოგიერთი დედის ხელში იტანჯებიან უბედური შვილები, რის გამო ხშირად მამა მოითხოვს თავის შვილის დაბრუნებას. მას, სასამართლო უარს ეუბნება; შვილი დედას ეკუთვნისო.

ბავშვი დაიღუპება ზოგიერთ სულელი დედის ხელში. მე შემთხვევით ვნახე ერთი სამწუხარო სურათი მაიაკინის ქუჩაზე ერთ მოხუცებულ ქალს ბავშვი მიჰყავდა, მივიდა შესახვევთან, სადაც ახალგაზრდა ქალი იდგა, დედაბერმა მას ბავშვი მიაწოდა, მაგრამ ბავშვი არ მივიდა დედასთან. ბავშვი მოხუცს ჩაეკვრა გულში და დაიწყო ტირილი; შვილიშვილი არ შორდებოდა ბებიას. ახალგაზრდა ქალმა ამით გაჯავრებულმა მოხუცს ქუჩური სიტყვებით მიმართა. მოხუცმა ხმა არ გასცა, დაბრუნდა უკან ბავშვიანად. ახალგაზრდა ქალი გამოეკიდა და დაეწია მოხუცს და სცემა მას ცხვირპირში და ბავშვი ხელიდან გამოსტაცა. ამ დროს მილიციონერმაც მოუსწრო და ეს ქალები ბავშვიანად წაიყვანა კომისარიატში. მეც წავედი. მინდოდა გამეგო, თუ რაში იყო საქმე. ეს ქალი სცემდა ბავშვს სანამ ჩამოვიდოდა კომისარიატში. ბავშვი კიოდა და ბებიასთან მიეშურებოდა, განრისხებული დედაკაცი კი მას სცემდა, რომ გაჩუმებულიყო.

როგორც მოხუცმა სთქვა—ბავშვი გაზრდია ბებიას უდედოთ; ორი წელი ნახევარი ბავშვი ყოფილა ბებიასთან. როდესაც ცოლი მოშორებია ქმარს, სასამართლოს დედისთვის მიუკუთვნებია შვილი. მაგრამ ბავშვისთვის არ მიუქცევია მას ყურადღება.

ასეთი მაგალითები სხვაგანაც არის და მას გამოსწორება სჭირდება.

მოწამე ვასო.

გვახრჩობს მტვერი და უსუფთაობა

მანთაშევის ყოფ. ქარვასლაში, სადაც ამ ჟამად მოთავსებულია სხვადასხვა დაწესებულებები და მრავალგვარი საწყობები, სუფევს დიდი უსუფთაობა, განსაკუთრებით სარდაფში; აქ მტვერი და უსუფთაობა პირდაპირ გვიშხამავს ჯანმრთელობას.

მიიღეთ ზომები ამ უსუფთაობის მოსასპობად.

ინჟ. პ. გოციშვილი.

ბოლო მოუღეთ ბოროტმოქმედებას

(„ზაჰესკომის“ და პროკურორის საყურადღებოდ).

ვინც ხალხის მიერ მინიჭებული უფლებით ბოროტად სარგებლობს, ის ხალხის მტერია, და დასჯილი უნდა იქნეს რევოლიუციონური კანონების მთელი სისასტიკით.

კახეთის რკინის გზაზე მსახურობდა მეთოთხმეტე უბნის სალიანდაგო ნაწილში გზის ოსტატის „პდ|3“ თანამდებობაზე **ნიკო ნასიძე.** ეს ვაჟბატონი ყოველივე ხერხს ხმარობდა, რომ ხელი შეეშალა ტრანსპორტის გაჯანსაღებისათვის და სისუქნე მიეცა თავისი ჯიბისათვის. ხსენებული **ნასიძე** თავისუფლად ყიდიდა ტრანსპორტის მასალებს, შპალებს და ქვებს. მან არც ეს იკმარა და მუშების ჯამაგირის გამოწერის დროსაც ეწეოდა ბოროტებას. შვიდი რვა მუშის ჯამაგირს ზედმეტს იწერდა და ეს თანხა რჩებოდა მის ჯიბეში. მოქ. **ნასიძეს** რამოდენიმეჯერ ჰქონდა გაფრთხილება მიცემული — ასეთი მოქმედებისათვის და სამსახურისადმი გულგრილობით მოპყრობისათვის რათა აცდენილი ყოფილიყო მატარებლების დამსხვრევა კახეთის რკინის გზაზე.

უკანასკნელი ხანებში აღნიშნული ნასიძე დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. **ნასიძის პირადი** საქმეები ინახება პ. ჩ. | 14; სამართველოში № 105.

ამჟამათ ეს ვაჟბატონი მსახურობს „ზაჰეს“-ში—და იქაც განაგრძობს თავის ბნელ საქმეებს.

ვეკითხები „ზაჰესკომს“ დასაშვებია თუ არა ასეთი თანამშრომელი. პროფკავშირის რიგებში და მუშურ-გლეხურ დაწესებულებაში?

უნდა იქნეს გასამართლებული ეს ბოროტი და მოღნილი კაცი.

მუშკორი გოგია რუხაძე.

ასეთი თანამშრომელი გაზეთს მხოლოდ ზიანს მოუტანს.

(გაზ. „ფუხარა“-ს რედაქ. საყურადღებოდ)

ქუთაისის მატარებლით მომავალს შევხვდი ორ მგზავრს. ერთი მათგანი (მთვრალი იყო) სცდილობდა „ავარიული“ ლაპარაკით ჩემს ჩხუბში გაწვევას. რკ. გზ. მილიციელის დახმარებით დ. ტ. ჩ. კ. აგენტთან რომ მივიყვანე, აღმოჩნდა გაზ. „ფუხარა“-ს კოსტო-აგენტი ელ. გეგეჭკორი, რომელიც არა ერთხელ ყოფილა ასეთ საქმეებზე პასუხისგებაში მიცემული. საჭიროა მის წინააღმდეგ ზომების მიღება.

საქ. ფიზკულ. უმაღ. საბჭოს მდივანი კ. გვაზცელაძე.

„კომუნისტი“-ს მუშკორთა ექსკურსია მცხეთაში

(შთაბეჭდილებანი)

23 მაისს ამხ. შალამბიას ინიციატივით მცხეთაში გაემგზავრა გაზეთ „კომუნისტის“ მუშკორთა ექსკურსია.

ექსკურსანტები გადმოვსხედით „ზაჰეს“-ის მესამე ბაქანზე, სადაც ამ ჟამათ შენდება მტკვრის საგუბარი, ხოლო ცოტა მოშორებით მდინარის მთელ სიგანეზე კედელია ამოშენებული, რომლის შემწეობითაც მტკვარი თავის უხსოვარ დროის ბუნებრივ კალაპოტიდან გადმოუგდია ადამიანს და გადაუშვია ვიწრო განათხარში.

მაჰმადმა სთქვა: „დიდ არს ალახი, რომელმან შექმნა სამყაროო!“

მე კი ვიტყვი: დიდ არს გონება ადამიანისა, რომელმაც სძლია სტიქია და დაიმონა...

მართლაც, გასაოცარია.

უნდა ნახოთ, რა გაგიჟებით მოჰქუხს ამ განათხარში ქაფად-ქცეული მდინარე, როგორი ხმაურობითა და სიბრაზით ეხეთქება განათხარის ბურჯ-კედლებს და გაგლეჯას უპირებს, მაგრამ ვერაფერი გაუწყვია, ამაოდ ებრძვის ძლიერი მტკვარი სუსტ ადამიანს...

ის დამარცხებულია.

ილაჯ გაწყვეტილი, ადამიანის შემოქმედებასთან ბრძოლით დაქანცული, განათხარში გავლის შემდეგ ისევ თავის კალაპოტში ჩადის და დარცხვენილი მიემართება ათასი წლების განმავლობაში მიგნებულ გაკვლილი გზით...

მარცხენა გვერდზე კი სწრაფი მუშაობა სწარმოებს.

ოთხი ვერსის მანძილზე ითხრება არხი, რომლის დამთავრების შემდეგ ყოვლად შემძლე ადამიანმა მასში უნდა ჩააწვინოს მისგან დამარცხებული მტკვარი...

ეს არხი ვიწრო კუბოა მისი.

ერთი წელიწადიც, და ის სამუდამოდ უნდა გამოესალმოს თავის ფართე კალაპოტს...

სამუდამოდ უნდა ჩაწვეს ის მისთვის დამზადებულ ვიწრო კუბოში...

გადავედით დასაგუბარ და განათხარზე გადებულ ხიდებით მტკვრის მარცხენა ნაპირზე და მივედით „ზაჰეს“-ის კლუბში.

მცირე დასვენების შემდეგ ყველანი ავედით მცხეთის პირდაპირ მდებარე მთის წვერზე აშენებულ ჯვარის მონასტერში, სადაც დაგვიხვდა ამ მონასტერში მარტოდ-მარტო მცხოვრები ბერ-მონაზონი ილარიონი, რომელმაც დაგვათვალიერებია იქაურობა შესაფერი ახსნა-განმარტებებით.

იქ, სადაც მტკვარი და არაგვი ერთდებიან ერთმანეთს, მაღალ მთაზე ამაყად წამოსკუპულა ათას ექვსასი წლის წინად აშენებული მონასტერი და თავზე დასცქერის ბებერ მცხეთას, მტკვრისა და არაგვის ხეობებს...

თვალწარმტაცი სურათი გიზიდავს, ვერ ძღები მისი ცქერით; გინდა უმზირო, უმზირო თვალ მოუშორებლივ!

წინ ქართული სოფელი ბუმბერაზ სვეტიცხოვლის ტაძრით, მარჯვნივ მტკვარი დიდი მანძილზე, მარცხნივ კი გაშმაგებული

„მოჩქეფს არაგვი, არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანი“...

* * *

დაბინდებისას სანახაობით დამტკბარნი და ხასიათმოლხენი დავბრუნდით ისევ კლუბში, სადაც ღამე უნდა გაგვეთენებინა.

აქ სცენაზე გამოვიდენ მუშა-პოეტები—გიგო ხეჩუაშვილი, შაქრო ნათლულელი, გიორგი შინატებლი-სალუქვაძე და ხვარიელაშვილი, რომელთაც წაიკითხეს ლექსები და სცენები.

ამხანაგებმა ბევრი იცინეს და იმხიარულეს.

მეორე დღეს დილით ადრე ვინახულეთ არხის შესართავი მტკვართან, სადაც სწარმოებს მუშაობა სადგურის ასაშენებლად.

იქვე ვნახეთ გერმანეთიდან მოტანილი თუჯის უშველებელი ბორბლები (ტურბინები).

აქედან გავემართეთ სოფელ მცხეთისკენ ისტორიულ ნაშთის სვეტიცხოვლის ტაძრის დასათვალიერებლად.

უზარმაზარ ძველ ციხე-გალავანს შუა დღემდე სდგას მრავალი შავი დღის მნახველი—მცხეთის ტაძარი...

ბევრი უბედურება გამოუვლია ამ ციხე-ტაძარს, ბევრ ქარტეხილს გადუვლია მის თავზე, მაგრამ ყველაფერი გადაუტანია და დღესაც ურყევად სდგას თავის ალაგას...

თვითეული ქვა მასში ჩატანებული რომ ამეტყველდებოდეს, ბევრ რამეს გვიამბობდა წარსულიდან, ბევრ საგულისხმიერო ამბავს გავიგებდით მისგან, მაგრამ არაფერს ამბობს, ჩუმად არის...

შაჰ-აბაზის შემოსევის მოწამე მოწამეა დღევანდელი დღისა და ასევე დარჩება მრავალ საუკუნეთა განმავლობაში...

შევედით ტაძარში.

ეს არის მუზეუმი ძველი ხელოვნებისა.

ისტორიული მუზეუმი.

ემბაზი—მთლიანი ქვის ყუთი.

ქრისტიანობის გავრცელების პირველ ხანების პატარა ეკლესია, სამხრეთის კედელზე მიდგმული.

მეოთხე და მეშვიდე საუკუნის მხატვრობანი, დღემდე დაცული.

ქართველ მეფეთა საფლავები.

კათალიკოსთა და მეფეთა დასაჯდომი ადგილები, წირვა-ლოცვის დროს.

შაჰ აბაზის ცხენის ფეხით დამტვრეული ქვა...

და სხვანი.

ახალგაზრდა ბერმა დაწვრილებით აგვიხსნა ყველაფერი და შეგვიყვანა საკურთხეველში, რათა იქაურობაც დაგვეთვალიერებინა, მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა პატარა ინციდენტი.

ახალგაზრდა ექსკურსანტი ქალი, რომელმაც აგრეთვე მოისურვა საკურთხეველში შემოსვლა, ბერის მიერ სამჯერ იქნა გაფრთხილებული. საკურთხეველში ქალის შემოსვლა აკრძალულიაო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქალი ძალით შემოიჭრა შიგ, რაზედაც ბერმა ძალითვე უპასუხა და გამოაძევა იქიდან.

აქედან წავედით სოფლის ბოლოს მდებარე ქალთა მონასტერში.

ნაშუადღევს ნანახ-გაგონილით კმაყოფილნი გავედით რკინის გზის სადგურზე და მატარებლით წამოვედით თბილისისკენ.

მუშა ნიკო ასლამაზაშვილი.

პროვინციაში

გლეხს ფული გამოართვეს, საბუთი არ მისცეს

ბაკურციხელ გლეხს—ვანო მოსულიშვილს აწერილი ჰქონდა საქონელი ვალდებულობის გასასტუმრებლათ. როცა გურჯაანის აღმასრულებელი მოვიდა, მოსულიშვილმა ფული გადაიხადა და საქონელი აღარ გააყიდვინა. აღმასრულებელმა ფურცელაძემ წესიერი ბარათის სანაცვლათ გლეხს მისცა უბრალო ხელწერილი 26 მ. და 70 კ. მიღებაზე.

მეორეთაც ჰქონდა ასეთი შემთხვევა ამავე გლეხს ამავე აღმასრულებელთან ა/წ. 15 მაისს. ფურცელაძეს მიუღია 16 მანეთი, **მაგრამ ეხლა უბრალო ხელწერილიც კი აღარ მიუცია.**

საინტერესოა, გავიგოთ: ფურცელაძის მიერ მიღებული ფული გატარებულია თუ არა კანონიერ ანგარიშებში და ჩაბარებულია თუ არა დანიშნულებისამებრ? შემთხვევით **ხომ არ ჩარჩა საკუთარ ჯიბეში?**

გლეხი.

სოფ. დიდი ლილო (გარე-კახეთი)

მადლობა ამხ. ჩხეიძეს

ჩვენი სოფლის ღარიბი გლეხობა სუსხიანმა ზამთარმა საგონებელში ჩააგდო. საერთოდ ჩვენს კუთხეში მოსავალი ნაკლები იცის, მთელი მოსავალი წლის ერთ მესამედს ძლივსღა გვყოფნის სარჩოდ. დანაკლისს სხვაგან სამუშაოზე წასვლით ავსებენ ჩვენი სოფლელები.

დაიწყო თბილის-ყაზიანის გზის შეკეთება. მივმართეთ გზატკეცილების ადმინისტრაციას ჩვენი სოფლის ღარიბი გლეხებისათვის გადაეცათ სამუშაო. სამუშაოების უფროსმა ინჟინერმა გ. ჩხეიძემ მამობრივი მზრუნველობა და დახმარება გაგვიწია — მთელი სამუშაოები გადმოსცა ჩვენი სოფლის ღარიბ გლეხებს. თუ წინათ მოიჯარადრეები ტყავს გვაძრობდენ, ეხლა ჩვენს ნაოფლარს სრულათ და უკლებლივ ვიღებთ.

ჩვენი სოფლის უღარიბესი გლეხების სახელით გულწრფელ მადლობას უძღვნი ამხ. ჩხეიძეს.

ლილოს ღარიბი გლეხების დავალებით **საბჭოს თავმჯდომარე** (ხელის მოწერა).

ხანძარი ნატანების ახლო მდებარე ტყეებში

14 მაისს დილით ჩრდილოეთის ქარი ჰქროდა. ადრე ეს ქარი შესცვალა სამხრეთ-დასავლეთის ქარმა და ასე დაახლოვებით დილის 10—11 საათიდან უკვე დაიჭირა აღმოსავლეთის ქარმა.

დადგა არაჩვეულებრივი, სულის შემხუთავი სიცხე. მდინარე ნატანების მარცხენა მხარეს მდებარე ტყეს, სახელდობრ „ძლაბლუანს", მოედო ხანძარი (ალბათ ყანებიდან ქარით გადატყორცნილი ცეცხლით). მიუხედავათ აღმოსავლეთის ქარისა, ხანძარმა მიმართულება, როგორც დასავლეთით ისე აღმოსავლეთითაც დაიჭირა. ამავე დროს სადგ. ნატანებთან ახლოს მდებარე ტყესაც გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც სწრაფათ გაძლიერდა და აღმ. ქარის გამო ტყის დასავლეთ სიღრმისაკენ მიიწევდა. სადგ. ნატანებიდან ჩრდილოეთით, დაახლოვებით 4 ვერსის მანძილზე, სახელდობრ „ეკალ-დიდის" ტყეშიც გაჩნდა ცეცხლი. აქედან ცეცხლი გადადიოდა ყანებში ჩირგვებსა და ჯირკვებზედ და ასეთი ცეცხლი უწევდა თითქმის მდ. სუფსამდე. საღამოს გურიის სამხრეთ-დასავლეთი საშინელ დამაფიქრებელ სურათს წარმოადგენდა. ამ სურათს ართულებდა ჩოხატაურის მიმართულებით ხანძრითვე ამოწითლებული ცა... და ლანჩხუთისაკენ კი მთის ძირებში „კანტი-კუნტი" ცეცხლი. სამეთომიქელ-გაბრიელის თემებისათვის მეტს საშიშროებას წარმოადგენდა სად. ნატანების და „ეკალ-დიდი"-ს ტყეების ხანძრები, და სოფლებიც ყველა ამ ორ ხანძარის წინააღმდეგ ნაყოფიერად იბრძოდენ.

ბათომის მეხანძრეთა რაზმმა ნატ. რაიონ. მილიციის სამმართველოსაგან დახმარების შესახებ ცნობას ასე უპასუხა: ჩვენი მოსვლა 2.500 მან. დაჯდებაო. თქვენი სიტყვით ვერ მოვალთ... გვითხრას მაზრამაო.

სადგურის ადმინისტრაციაზე რ.-მილიციის მოთხოვნას და ცეცხლის სადგურზე მოახლოვებას გავლენა მოუხდენია და მათაც გამოუძახია რკ. გზ. მეხანძრე რაზმისათვის, რომელიც მეორე დილით მოსულან, როდესაც უკვე საჭირო აღარ იყვნენ.

ტაროსის შეცვლის და ქარის ჩავარდნის გამო ცეცხლი თვით დანელდა ყველგან.

„ძლაბლუანის" ტყე დაახლოვებით 8 კვ. ვერსის მოედნით სრულიად გადამწვარია. ს. ნატანების ახლოს ტყე გადამწვარია დაახლოვებით ერთი კვ. ვერსის მოედნით. და „ეკალ-დიდი" კი 4 კვ. ვერსით, ისიც დაახლოვებით (ციფრები მინიმუმია). აგრეთვე დამწვარია მეჯოგეთა კარვები, სასიმინდეები (არის სიმინდიანი სასიმინდეებიც დამწვარი), ტყეში დამუშავებული დასახერხად დამზადებული მრავალი მასალები. ზარალი დიდია. საჭიროა სპეციალური კომისია ხანძრისგან განადგურებულ ტყეების სივრცისა და ზარალის გამოსარკვევათ.

სახახან საჩარჩალიძე.

ექიმ ა. ინგოროყვას შესახებ

„კომუნისტის" ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია „კომკავშირელის" ფსევდონიმით ექიმ ა. ინგოროყვას შესახებ, თითქოს აღნიშნულ ექიმს საექიმო დახმარება არ აღმოეჩინოს ავადმყოფ მოწაფე ფოცხიშვილისათვის. ოზურგეთის სამაზრო განათლების ინსპექცია აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ აღნიშნული კორესპონდენცია სრულებით არ შეეფარდება სინამდვილეს. ექიმი ა. ინგოროყვა დიდი ხანია, როგორც გამოცდილი ექიმი, ითვლება ოზურგეთის ტეხნიკუმის და შრომის სკოლის სანიტარულ ექიმათ. მის უმთავრეს მოვალეობას შეადგენს ლექციების კითხვა გიგიენაზე, მაგრამ მიუხედავათ ამისა ის თავისი კეთილი სურვილით საექიმო დახმარებას უწევს 2.000-მდე მოწაფეს. თვით ის მოწაფეები, რომლებმაც ექიმ ინგოროყვას აცნობეს ენახა ფოცხიშვილი, გადმოგვცემენ, რომ მიუხედავად დაღლილობისა, ექიმმა ცნობის მიღების შემდეგ ინახულა ავადმყოფი მოწაფე. ეს დაადასტურა ავადმყოფმა ფოცხიშვილმაც, რომლის შესახებაც ინგოროყვას მიერ გამოწერილი რეცეპტი აღმოჩნდა რეგისტრაციაში გატარებული იმავე დღის თარიღით ქალაქის აფთიაქში.

ექიმი ა. ინგოროყვა პირნათლად ასრულებს ინსპექციის მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ამავე დროს ის ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო ექიმათ მთელს მაზრაში.

განათლების ინსპექცია.

ჩვენ გვიპასუხებენ

ჩვენი გლეხკორის ცნობა ქვემო-ჭალადიდის წითელი სასადილოს შესახებ დადასტურდა

13 მაისის „კომუნისტში" მოთავსებული იყო წერილი ამ სათაურით: „წითელი სასადილო თუ სამიკიტნო".

წერილში აღნიშნულია, რომ სენაკის მაზრაში, ქვემო-ჭალადიდში გლეხკომს ჰქონია მოწყობილი წითელი სასადილო, რომელშიაც გამეფებული ყოფილა ლოთობა და სხვა უწესოება.

ამას ყურადღება მიაქცია სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა და დაავალა **სოციალურ უზრუნველყოფის ინსპექტორს ადგილობრივათ საქმის გამორკვევა.**

ადგილობრივი კვლევა-ძიებიდან გამოირკვა, რომ გლეხკომის სასადილოში გადაჭარბებული ღვინის სმა აკრძალული ყოფილა, **მაგრამ მიუხედავათ ამისა, რამოდენიმეთ მაინც ჰქონია ადგილი ლოთობას.**

ამის გამო გადაწყვეტილი იყო სასადილოს დაკეტვა და ამ საქმის სრული ლიკვიდაცია, მაგრამ ქვემო-ჭალადიდის საზოგადოებრიობამ იქონია მსჯელობა ამ საკითხის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში, რომ კერძო ვაჭრებთან კონკურენციის გაწევით გლეხკომების სასადილოს მოაქვს სარგებლობა ხალხისათვის, დაადგინა, რომ სასადილო არ იქნას დაკეტილი. **სასადილოს გამგეს კი პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ სასტიკათ დაევალა სასადილოში ლოთობის დაუშვებლობა და სრული წესიერების დაცვა.**

ნ. გ.

პროვინციის ქრონიკა

— **ხილის სახმობი.** სამაზრო გლეხკომი ქორონის მაზრაში ხსნის ხილის სახმობს.

— **პროფმოძრაობის შესასწავლათ** სოფ. ალმეში (ხულოს მაზრა) დაარსდა წრე.

— **გზა-ტკეცილის სამმართველომ** ბაღდადის გზაზე (ქუთ. მაზ.) მდ. ყვირილაზე მომუშავე. ბორანი იჯარით გადასცა ადგილობრივ გლეხკომს.

— **თემებათ დაყოფა.** ახალციხის აღმასკომმა გადასწყვიტა მაზრა დაყოს 20 სათემო ერთეულათ.

— **კოოპერატივის ფულის გაფლანგვა.** სოფ. თორტიზის (გორის მაზრა) კოოპერატივის გამგეობის წევრებს გაუფლანგავთ 1200 მ., გამგეობის თავმჯდომარე—კიკნაძე და გამგეობის წევრი—ხელაძე შეპყრობილი არიან.

— **წყალის გამოყვანა.** სოფ. შრომის (თელავის მაზრა) აღმასკომი ამჟამად აწარმოებს მუშაობას ადგილობრივ წყალის გამოსაყვანათ.

— **ვენახების დამუშავება.** თელავის აღმასკომის სამეურნეო განყოფილებამ თავს იდო საფონდო ვენახების საკუთარი საშუალებებით დამუშავება და კიდეც შეუდგა მუშაობას.

— **ქუთაისის** თვითმშრომელთა საზოგადოების მიერ დაარსებულ წ.-კ. უცოდ. სალიკვიდ. სკოლაში ამჟამად სწავლობს 185 ხელოსანი.

— **მიწად-მოწყობის მიზნით** სოფ. პანკისის (თელავ. მაზრა) გლეხებმა დაადგინეს მოიწვიონ ერთი მიწისმზომელი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მეკუთვნის თუ არა ხელფასი?

კითხვა

ერთი კვირის წინეთ გამიქურდეს ოთახი და წაიღეს ყველაფერი, რაც მქონდა; არ დამრჩენია არც ერთი ტანსაცმელი, რის გამო იძულებული შევიქენი ქარხანაში სამუშაოდ არ წავსულიყავი და გავაცდინე ორი დღე ქარხნის ადმინისტრაცია იმის მაგივრად, რომ მას დახმარება აღმოეჩინა, პირიქით, გაცდენილი ორი დღის ხელფასსაც მჭრის.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას: არის თუ არა ზემოხსენებული გაცდენილი ორი დღე საპატიო მიზეზით გამოწვეული და თუ არის, მეკუთვნის თუ არა ხელფასი.

აბრეშუმის სახსოვი ქარხნის მუშა.

პასუხი.

გაცდენილი დღეების საშუალო ხელფასი მუშა-მოსამსახურეთ აუცილებლად უნდა შეენახოთ და მიეცეთ შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 68, 77—79, 81, 91 და 87 მუხლის შენიშვნით გათვალისწინებულ შემთხვევებში. თქვენ გააცდინეთ სამუშაო (შრომის კანონთა კოდექ. მუხ. 68) თქვენგან დამოუკიდებელ და საპატიო მიზეზების გამო; ამიტომ თქვენ უნდა მოგეცეთ აუცილებლად საშუალო დღიური ხელფასი, რომელიც უნდა გამოანგარიშდეს მიმდინარე თვის დანარჩენი დღეების ფაქტიური ხელფასის მიხედვით. (იხ. ს. ს. რ. კ. შრომის სახკომატის დადგენილება № 268, 426,1924 წ. 17 ივნისიდან).

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვმუშაობ ქალ. თბილისის რკ. გზის სადგურის მტვირთავ-განმტვ. ბიუროში; ვცხოვრობ ტრამვაის ქუჩა № 21-ში. მიქირავს ერთი ოთახი, რომლის სივრცე უდრის 20 კვ. არშინს, შიგ ვცხოვრობთ 5 სული; ვარ პროფკავშირის წევრი 1912 წლიდან. სახლის პატრონი თვიურად მთხოვს 25 მანეთს, რის გადახდის საშუალება მე არა მაქვს. ჯამაგირს ვღებულობ მე-7-დე კატეგორიით—42 მან.

გთხოვთ განმიმარტოთ, რამდენი უნდა გადავიხადო ბინის ქირათ, ან უფლება აქვს სახლის პატრონს სახლიდან გამომასახლოს?

თბილისის პოგრუზბიუროს მომუშავე **ლავროს ჩაიკვაძე.**

პასუხი

ბინის ქირად თვიურად იხდით, როგორც კავშირის წევრი და დაზღვეული, სამ აბაზს; სახლის პატრონს არა აქვს უფლება სახლიდან თქვენ გამოგასახლოს, თუ თქვენ ჯეროვნად (თვის ბოლოს ჯამაგირის მიღებისთანავე) იხდით ბინის ქირას აღნიშნული რაოდენობით, არ აყენებთ არავითარ ზიანს ბინას და არ არღვევთ მდგმურებს შორის მყუდროებას.

ჩვენი ფოსტა

— **სამტრედ·ის საურთიერთო საზოგადოებას.** განცხადება დაიბეჭდება 10 მანეთის მიღების შემდეგ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის საალმრ.-განმ. განყოფილება სთხოვს ამხ. ეგნატე ივანეს ძე ლოსანს გამოცხადდეს ამხ. კვირიკაძესთან.

— სახ. უნივერსიტეტის კომ. უჯრედის ბიურო ამით აცხადებს, რომ 29 მაისს ერთიანი პარტიული დღე არ შესდგება.

ნაცვლად ამისა ა/წ. 1-ლ. ივნისს (ორშაბათი) საღამოს სრულ 8 საათზე მუშათა ფაკულტეტის შენობაში შესდგება სახ. უნივერსიტეტის და მასთან არსებულ მუშფაკის კომ. უჯრედთა გაერთიანებული ღია კრება, რომელზედაც

ამხ. მ. ოკუჯავა გააკეთებს მოხსენებას „სოფლად მუშაობის შესახებ".

კომ. უჯრედის ბიურო.

— არსრაიკომი წინადადებას იძლევა—სამი დღის განმავლობაში რაიკომის ორგ.-განაწ. განყოფილებაში გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები:

ცინცაბაძე სამსონ, ჯონაშვილი დიმიტრი, ბუზნიაკ ტატიანა, ხომაშურიძე კალენიკ, კოჩიევი ევგენი, აგოიან არმაის.

მდივნის მაგიერ—წითლიძე.

— ქალაქის რაიკომი გაბათილებულათ აცხადებს პარტბილეთს № 492561 —გაცემული გიორგი ვახტანგის ძე კვაშილავას სახელზე

მდივანი—სტურუა.

— შაბათს, 30 მაისს, დილის 10 საათზე თბილისის კომიტეტის სამდივნოს ბინაზე მოწვეული .

ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი **მიხ. კახიანი.**

განცხადებები

თავზარდაცემული და გაუბედურებული მეუღლე ლიზა შვილებით, დედა ბარბალე, ძმა ვალერიანე, რძლები ანეტა და დესპინე, ძმისწულები: შალვა, კუშა, დოდო და ლაკონი ხუროძეები აცნობებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 26 მაისს, თბილისში რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოვოდ გარდაიცვალა, მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

სარდიონ ივანეს ძე ხუროძე

გამოსვენება მოხდება შაბათს, 30 მაისს, რესპ. მთავარ საავადმყოფოდან (ყოფ. მიხეილის) დღის სრულ ოთხ საათზე. დაკრძალვა კუკიის (წმინდა ნინოს) სასაფლაოზე. 1479. 1—1

სტეფანე ალექსის ძე და ანნა თამაზის ასული დანდუროვები, შვილებით: ბარბალე, ლიუსიკი, ალექსანდრა, ანალდა და ალიოშა იტყობინებიან საყვარელი ძმის და ბიძის

სერგო ალექსის ძე დანდუროვის

გარდაცვალების შესახებ. ცხედარის გამოსვენება მოხდება გარდაცვალებულის ბინიდან—პლეხანოვის პროსპ. № 111, მე-4-ე კორპუსი, პარასკევს, 29 მაისს, დღის 3 საათზე, ხოჯივანქის სასაფლაოზე. ნის. 1480. 1—1

გაზ. „კომუნისტი"

ხელისმომწერთა საყურადღებოდ ცხადდება შემდეგი:

1. **კოლექტიურ ხელისმომწერთა სიაში** სახელი, გვარი და მისამართი ხელისმომწერისა აუცილებლივ **გარკვევით და სწორად უნდა იყოს აღნიშნული.**
2. **ყოველგვარი ცნობების მისაღებად** (გაზეთის მიუღებლობა, დაგვიანება და სხვა) უთუოდ მთავარ კანტორას უნდა წარუდგინოს **ქვითარი ან ეტიკეტი ამ უკანასკნელის №.**
3. **კოლექტიურ ხელისმომწერთა სიები** აუცილებლივ წარმოედგინოს მთავარ კანტორას **თავის დროზე** (ყოველთვის 25—29 რიცხვამდე) ადგილობრივ ორგანიზაციის მიერ შემოწმებული.
4. **გაზეთების გამოწერის დროს** აუცილებლივ **გადახდილი უნდა იქნას ფასული თვის ვალი მთლიანად.**
5. **კონტრ-აგენტებისა და პროვინციის ხელის მომწერთა მიერ გაზეთების დაკვეთა** უნდა ხდებოდეს თვის დამლევამდე, აუცილებლივ მთავარ კანტორის ხვედრი ფულის გადმოგზავნით.
6. **გაზეთის მიუღებლობის შესახებ** უნდა ეცნობოს მთავარ კანტორას დაუყოვნებლივ და არა თვის ბოლოს, რასაც ხშირად აქვს ადგილი.

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

სავალდებულო დადგენილება № 81

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

1925 წლ. 21 მაისი

ქალ. თბილისში კანალიზაციის მოწყობის საკითხის მოგვარების მიზნით თბ. აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. მოწყობა საკანალიზაციო მილების, როგორც ქუჩების, ისე სახლებისა, შეადგენს სახლის მეპატრონეების (კერძო პირების და სხვადასხვა დაწესებულებების) მოვალეობას, რომლებიც ამ მუშაობას აწარმოებენ აღმასკომის კეთილ-მომწყობი განყოფილების სანიტარულ ტეხნიკური სექციის ხელმძღვანელობით.

შენიშვნა: მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებში პირველ პარაგრაფებში აღნიშნული მილების მოწყობა შეადგენს ამ სახლების მოიჯარადრეთა ვალდებულებას.

2. საკანალიზაციო მილების აგების პროექტებს ადგენს სახლის მეპატრონეები თავის ხარჯზე. ეს პროექტები განიხილება სანიტარულ-ტეხნიკურ სექციის გამგის მიერ და მას ამტკიცებს აღმასკომის კეთილ-მომწყობ განყოფილების გამგე.

3. ამორჩევა საკანალიზაციო მილების უკეთესი მიმართულებისა ეხება სანიტარულ-ტეხნიკურ სექციას

4. აგება საკანალიზაციო მილებისა დამტკიცებული გეგმის მიხედვით ევალება სან. ტეხ. სექციას, რომელსაც შეუძლიან აწარმოვოს ასეთი სამეურნეო ან და სანარდო საშუალებებით.

5. მილების ღირებულება სან.-ტეხ. სექციის ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით სახლის მეპატრონეებმა უნდა შეიტანონ აღმასკომის სალაროში.

შენიშვნა: ღარიბ სახლის მეპატრონეებს საკანალიზაციო მილის საფასურის გადახდაში ეძლევათ ვადები.

6. ხარჯთ-აღრიცხვაში შედის ღირებულება მილებისა, თუჯის „ლიუკის"-ა თავისი ჩარჩოთი და ჯების აგება.

7. სამუშაოს ღირებულება გამოიანგარიშება სახლის ეზოს წინამოს პოპორციულად, მასთან კუთხური ნაკვეთისაგან გადაეხდევინებათ წინამოს უდიდესი სიგრძის მიხედვის.

8. სახლის მეპატრონეების მიერ აგებული ქუჩის საკანალიზაციო მილები გადადის ქალაქის აღმასკომის განკარგულებაში და ამ დროიდან სახლის მეპატრონეები თავისუფლდებიან იმ მილების უნაკლოთ შენახვისა და შეკეთების ყოველგვარ ხარჯებისაგან

9. ყველა სამუშაოები, აღნიშნულ სავალდებულო დადგენილების საფუძვლების მიხედვით, სრულდებიან სახლის მეპატრონეების მიერ 1 წლის განმავლობაში დღიდან მათი გამოქვეყნებისა.

10. დამნაშავენი ამა სავალდებულო დადგენილების შეუსრულებლობაში ან და დარღვევაში ისჯებიან ორი თვით დაპატიმრებით ან და 100 მანეთამდე დაჯარიმებით.

თავმჯდომარის მოადგილე—**ივანოვ-კავკასიელი**

კომ. განყ. გამგის მოადგილე—**ასრიევი**

მდივანი—**ცქიტიშვილი**

ნ. 1237—1—1

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ
„კომუნისტი"-ს მთავარ კანტორას
რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი № 16-49

თბ. აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილება ამით აცხადებს, რომ ა.-წ. 30 მაისს დილის 10 საათზე მე-12-ე სამილიციო უბნის შენობაში (დიდუბე, გორის ქუჩა) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სხვადასხვა საოჯახო ავეჯეულობისა სხვადასხვა მოქალაქეების აღმასკომისადმი და რკინის-გზის დავალიანების დასაფარავად.

აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსი **ხმალაძე.**

ნ. 1238. 1—1

ყოველგვარი მანდატები და მინდობილობანი

გაცემული ა.-წ. 20 მაისამდე რემედას-ის საქართველოს ცენტრა-ცენტრალური კომიტეტიდან სხვადასხვა პირთა სახელზე რემედას-ის გამოცემათა გასავრცელებლად, განცხადებათა შესაგროვებლად და **სხვა ითვლება გაუქმებულად.**

ნის. 1476. 1—1 პ. / მგ. მდივანი მუშიშვილი.

ს. ს. ს. რ.

სახელმწიფო გამომცემლობა

ამით აუწყებს დაწესებულებათა და მოქალაქეებს, რომ მოქ.

იულიანე იავეცკის

სახელგამისაგან არავითარი რწმუნება არა აქვს რაიმე ხელმოწერისა თუ შეკვეთის მისაღებად და დიდი ხანია გამორიცხულია ჩვენი აგენტების სიიდან.

ნის. 1235. 1—1 სახელმწიფო გამომცემლობა.

რუსთაველის თეატრი ორშაბათს, 1 ივნისს
„თეატრი და ცხოვრება"-ს
15 წლის არსებობის აღსანიშნავად
(1910—XV—1925)
გაიმართება
საიუბილეო საღამო-წარმოდგენა
დაწვრილებით აფიშებში საიუბილეო კომიტეტი.
2—2 ნ. 1231

საზაფხულო სეზონისათვის
შრომის ბირჟის შრომის კოლექტივი
საზაფხულო სეზონისათვის
ტრიკოტაჟის ფაბრიკა
ღიაა: მანთაშევის რიგი (სიონის ქ. ბოლოში) № 2
დაკვეთების მიღება
დამზადებული ნაწარმოები
მიიღება დაკვეთა
ტრიკოტაჟის ყოველგვარ ნაწარმოებზე
(ნაქსოვი): აბრეშუმის, შალის და ბამბის ნაწარმოები
წინდები, ჩულქები, ფუფიაკები, ქალების ჟაკეტები
უკანასკნელი ფასონის, მამაკაცების და ქალების
ნაქსოვი თეთრეულები, ქალების პერანგები.
განსაკუთრებული ყურადღება ეძლევა ბავშვებისათვის ნაქსოვ ტანისამოსთა დამზადებას.
ფასები კონკურენციის გარეშე (არსებულ ფასებზე უფრო იაფად)
საზაფხულო სეზონისათვის
საზაფხულო სეზონისათვის
1233 საზაფხულო სეზონისათვის 2—1

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ ჭედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
9205 25—1

არარის უმეთესი კეფირი, ვიდრე
ლ. კორონასი
ლორის მელიქოვის ქ. № 6.
ცნობილია მრავალ სამედიცინო გამოკვლევების დროს **ყველაზე საუკეთესო** კეფირად, როგორც თავისი ღირსებით, ისე დამზადებით, რაც მიღწეულია 45 წლის გამოცდილებისა და დაკვირვების შემდეგ. ამიტომ ვსთხოვ ყველას, შეადარონ ჩემს ლაბორატორიაში დამზადებული კეფირი სხვა კეფირს. მსურველთ შეიძლება სახლში მივაწოდოთ· ნ 1106 25—21

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
ქუჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.
იღებს ავადმყოფებს
კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.
25—10

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა
მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8, პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. № 3203. 25—4

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 18
შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან-
25—4

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიანი თუხარელისა
კბილის და ღძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)
25—10

ექიმი
გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38. 25—12

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
კანისა და ვენერიული სნეულ.
სიფილისი (606—914)
მიღება: კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ.
ქალების 6—7 ს. საღ.
მოსკოვის ქ. № 4.
25—5 № 1432

ექიმი
ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.
სომხის ბაზარი № 3.
№ 202.
25—20

ექიმი
მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.
საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.
25—21

ექიმი
გ. გ. მეირაბიანცი
ავადმყოფობა ფილტვების, გასულიტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.
2746 25—10

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).
ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ.
ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.
ნ. 1346 25—20

ექიმი
დ. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის, ვენერიული
(მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.
მიღება დილის 8-დან 11-მდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.
ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.
284 25—4.

ექიმი
ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.
25—4

დაკარგვა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 16441 გიორგი ზაქარიას ძე არჯევანიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1478

დაკარგვა პასპორტი და სამხედრო წიგნაკი ალექსი შიშაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად 1—1 1478 (ა)

დაკარგვა საწევრო წიგნაკი, გაცემული საბჭოთა მუშაკების კავშირისაგან, ვლადიმერ ყარახანიძის სახელზე № 4677. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1473

დაკარგვა სალექციო წიგნაკი № 2085, გაცემული ტფილ. სახ. უნივერსიტეტის მიერ, აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტის, გრიგოლ მელმიროტაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1474

დაკარგვა სახლის ნასყიდობის ბარათი № 1352, ისაი ლუკას ძე დემეტრაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 1475

ტირაჟი—20.544

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4